# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1.5 ლარი

№ 28-29 (9859-60) 2025 წლის 26 თებერვალი, ოთხშაბათი




## აკაკი ხორავას სენსაციური ჩანაწერები,

მე გულისყურით ვაკვირდებოდი თაობათა ურთიერთობას და ვაღწევდი კიდევაც მათ შორის ნორმალურ დამოკიდებულებას, დასის მთლიანობას. საკმარისი იყო, დროებით სადმე წავსულიყავი, რომ დაბრუნებისას დასი არეული დამხვედროდა. მეც ვიწყებდი თავიდან თაობათა შერიგებას...

8–9



3

## იოსებ სტალინის აღსარება

როცა დღევანდელი საქართველო 1921 წელს ჯერ კიდევ დამოუკიდებელი იყო, შემდეგ კი საბჭოთა რესპუბლიკა გახდა, ქართველ ბოლშევიკთა ნაწილი ვლადიმერ ლენინის გაფრთხილებებს ეროვნულ საკითხში ყურადღებას არ აქცევდნენ!



2

გერონტი ქიქოძე 1914 წელს გამოქვეყნებულ წერილში „ენა და ეროვნული ენერგია“, ხაზს უსვამდა ეროვნული შემოქმედებითი ენერგიის გამთლიანების აუცილებლობას...

## 25 თებერვალი არ უნდა განმეორდეს

საზოგადოება ქართული

## ფუჭი იმედი სასოწარკვეთილებაზე უარესია

4




„ილია დღეს“

ელდარ ნადირაძე



## ომარ გოგიაშვილის ხუთტომეულის ეროვნული თვალსაწიერი

5

## ევროპოლიტიკოსები ანგრევენ საქართველოს

12

www.sak.ge ელ. ფოსტა: sak@sak.ge



# პრემიერ-მინისტრმა იუნკერთა მემორიალი გვირგვინით შეამკო

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ, პრეზიდენტ მიხეილ ყაველაშვილთან, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილთან და თბილისის მერ კახა კალაძესთან ერთად, კოჯორტაბახმელას ბრძოლებში დაღუპული იუნკრების ხსოვნას პატივი მიაგო.**

მთავრობის მეთაურმა კოჯორში იუნკერთა მემორიალი გვირგვინით შეამკო და მათ გმირობაზე ისაუბრა.

„დღეს არის, ერთი მხრივ, ტრაგიკული დღე – ჩვენი ქვეყნის ოკუპაციის დღე. მეორე მხრივ, ეს დღე გვახსენებს ქართველების გმირობას, თავგანწირულ ბრძოლას დამოუკიდებლობისთვის. ეს დღე უნდა გვახსენებდეს, რომ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა მუდმივი პროცესია, ჩვენ მუდმივად უნდა ვიბრძოდეთ იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა და მაგალითი უნდა ავიღოთ ჩვენი გმირებისგან“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

## პარლამენტის თავმჯდომარე:

– **დღეს** ჩვენ პატივს მივაგებთ 104 წლის წინ, 1921 წლის თებერვალში, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის გმირულად დაღუპულ ადამიანებს, რომლებიც საკუთარი მკერდით გადაეფარნენ ჩვენს დამოუკიდებლობას.

გამოწვევები ჩვენი დამოუკიდებლობის მიმართ ყოველთვის იყო. 1921 წელს, სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შევძელით დამოუკიდებლობის შენარჩუნება. მაშინაც, ვხედავდით ქართველებს, რომლებიც ჩვენი დამოუკიდებლობის ხელყოფის ნაწილი იყვნენ. მაშინაც იყვნენ ქვეყნები, ჯგუფები უცხოეთიდან, რომლებიც გვპირდებოდნენ მხარდაჭერას, გვერდში დგომას, მაგრამ საქმე-საქმეზე რომ მიდგა, ჩვენი იუნკრების და ჯარისკაცების დასაცავი გახდა ეს ქვეყანა და სამწუხაროდ, ამ დიდ ძალას, მაშინ ჩვენი ქვეყანა ვერ გაუმკლავდა. გავიდა წლები და დღესაც ვფიქრობთ, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა ისეთივე მოსაფრთხილებელია, როგორც მაშინ იყო.

„104 წლის წინ ამ ადგილზე დასრულდა საქართველოს დამოუკიდებლობა – სამი წლის წინ ამ ადგილზე გადარჩა საქართველოს დამოუკიდებლობა. გავიდა 3 წელი და ახლა ყველა ხვდება, თუ რამდენად სწორი იყო საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა. ყველა ხვდება, რომ მაშინაც გვყავდნენ „ორჯონიკიძეები“, რომლებიც 3 წლის წინ, ზუსტად ამ დღეებში, საქართველოს ხელისუფლებისგან მოითხოვდნენ ესკალაციას, სანქციების დაწესებას, ცის, საზღვრების ჩაკეტვას, რაც იყო პირდაპირი გზა ახალი ომისკენ და პირდაპირი გზა ჩვენი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის ხელახალი ხელყოფისკენ. ის „ორჯონიკიძეები“ ჩვენს შორის კვლავ არიან და ეს მაშინ, როდესაც ყველაფერი უკვე ცნობილია – ვიცით, რომ ამ ომის თავიდან აცილება შეიძლებოდა, რაზეც საუბრობს ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია, რომელიც არის ყველაზე მეტად ჩართული ამ საკითხში, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური, საინფორმაციო თუ სადაზვერვო მხარდაჭერის მხრივ. დღეს უკვე ვიცით, რომ ამ ომის თავიდან არიდება შეიძლებოდა და ასევე ვიცით, რომ არა ჩვენი ხელისუფლების მაშინდელი სწორი პოზიცია, ჩვენთანაც ომი განმეორდებოდა და მეორე უკრაინა გვექნებოდა.

ვფიქრობ, სამი წლის გადმოსახედიდან მნიშვნელოვანია ყველამ გააანალიზოს, სად იდგა სამი წლის წინ ზუსტად ამ დღეებში ის ხალხი, ვინც საქართველოს ესკალაციისკენ მოუწოდებდა, 21-ე საუკუნის „ორჯონიკიძეები“ და იქნებ გააანალიზონ, რომ საკუთარი ქვეყნის გვერდში დგომასა და საქართველოს ინტერესების გატარებაზე მაღლა არაფერი უნდა დააყენოს პატრიოტმა ადამიანმა...

## ანტონიო გუტიერეში: საქართველოს ხელისუფლებას სწორი პოლიტიკა აქვს



**გაეროს** გენერალურ მდივანთან **ანტონიო გუტიერეშთან** შეხვედრის შეფასებისას, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაკა ბოჭორიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ გაეროს გენერალური მდივანი კარგად იცნობს საქართველოში მიმდინარე პროცესებს და მიაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან იდგმება ძალიან სწორი ნაბიჯები იმისთვის, რომ ქვეყანაში იყოს სტაბილურობა და საქართველომ მომავალშიც შეძლოს სტაბილური განვითარება. **„შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა, საქართველოს ძალიან სწორი პოლიტიკა აქვს და ეს არის ძალიან დასაფასებელი, განსაკუთრებით როდესაც საქმე ეხება უსაფრთხოებისა და სტაბილურობისთვის ბრძოლას**“ – ხაზგასმით აღნიშნა მაკა ბოჭორიშვილმა.

## საბჭოთა ოკუპაცია!

# 25 თებერვალი არ უნდა განმეორდეს

**25 თებერვლის** ტრაგედიაზე ბევრი ითქვა და მომავალშიც ბევრი დაიწერება. სამართლიანობა ითხოვს აღინიშნოს, რომ XX საუკუნის დასაწყისში შექმნილმა გეოპოლიტიკურმა გარემომ მაშინდელ ქართულ პოლიტიკურ ელიტას მანევრირების მცირე შანსი დაუტოვა. თუმცა, ვფიქრობთ, ახალი ქართული სახელმწიფოს კრახის მიზეზებს შორის დღემდე სათანადო ყურადღება არ გამახვილებულა პოლიტიკური კლასის იდეოლოგიური დოქტრინების როლზე. უფრო მეტიც, ამის გაუთვალისწინებლობამ არაერთი მარცხი განგვაცდევინა გასული საუკუნის 90-იან წლებში და მათგან მომავალშიც არ ვართ დაზღვეულები.

1905 წელს ვაჟა ფშაველამ გამოაქვეყნა წერილი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“, რითაც სცადა ქართული საზოგადოება მის შიგნით მომხდარი განხეთქილების შესაძლო სავალალო შედეგებზე გაეფრთხილებინა. ილიას „საერთო ნიადაგის“ თეორია და ევროპიდან იმპორტირებული სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიები გამორიცხავდნენ ერთმანეთს, რამაც ჯერ ილია შეიწირა, ხოლო შემდეგ კი ისტორიული შანსი, აგვეშენებინა ძლიერი ქართული სახელმწიფო.

ქართველ სოციალ-დემოკრატებს, მიუხედავად იმისა, რომ ერის ერთიანობის ილიასეულ მიდგომას უარყოფდნენ, მოუწიათ ეროვნული ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. მაგრამ, ეს მათი მხრიდან იყო კომპრომისი და მოლოდინი რუსეთსა და ევროპაში მსოფლიო რევოლუციების უდავო გამარჯვებისადმი. ამის გამო მთავრობის მზაობა ქართული სახელმწიფოს დაცვისა და ერის ერთიანობის უზრუნველსაყოფად, არ იყო საკმაოდ მტკიცე და თანმიმდევრული. გეოპოლიტიკურ ფაქტორს თუ გამოვრიცხავთ, ქართული სახელმწიფოებრიობის მარცხი ქართველი პოლიტიკოსების იმ სოციალისტური ინტერნაციონალის იდეოლოგიისადმი ერთგულებამაც გამოიწვია, რომელიც კოსმოპოლიტიზმის სასარგებლოდ უარყოფდა პატრიოტიზმს და ერის ერთიანობის აუცილებლობას.

ქართველ ერს არ გაუმართლა სოციალ-დემოკრატების მეორე ნაწილშიც. პირიქით, გააფეტიშეს რა კლასობრივი ბრძოლისა და მსოფლიო რევოლუციების დოქტრინები, ბოლშევიკები საოკუპაციო ჯარებს შემოუძღვნენ და ყველაფერი გააკეთეს ქართული სახელმწიფოს დასამარცხებლად. მათაც პატრიოტიზმს კოსმოპოლიტიზმი და კომუნისტური ინტერნაციონალისადმი ერთგულება ამჯობინეს.

სამწუხაროდ, ეს დილემა კვლავ დადგა ქვეყნის წინაშე, როგორც კი გასული საუკუნის 90-იან წლებში ისევ მოგვეცა სახელმწიფოებრიობის აღდგენის ისტორიული შანსი. პოლიტიკური კლასისა და საზოგადოების პასიონარული ნაწილისთვის თავისუფლება ბატონის შეცვლა აღმოჩნდა და არა ილიასეული „ ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“. დღეს უკვე ცხადია, რომ მათ გარე ძალებთან კავშირში პირველი პრეზიდენტი იარაღით დაამხეს და ქვეყანა სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გახვიეს.

შევარდნაძეც მანამდე იყო ხელისუფლებაში, სანამ დასავლეთში არ ჩათვალეს რომ აუცილებელი იყო მისი ახალგაზრდა სააკაშვილით ჩანაცვლება. გლობალური ნეოლიბერალური ძალებისადმი უსიტყვო მორჩილებამ და დასავლეთის „დიფ სთეითის“ ინტერესების უპირობო შესრულებამ ქვეყანა 2008 წლის რუსეთთან ომსა და ისტორიული ტერიტორიების ხელახალ ოკუპაციამდე მიიყვანა.

**2012 წლის 1 ოქტომბერს დაიწყო შემობრუნება ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობისკენ, მაგრამ რეალურად, მხოლოდ 2022 წლიდან გახდა შესაძლებელი ამ მიმართულებით სერიოზული ნაბიჯების გადადგმა. რუსეთის უკრაინაზე თავდასხმის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ნეოლიბერალურ ინტერნაციონალს ანუ „გლობალური ომის პარტიასა“ და ქართულ სახელმწიფოს შორის, მეორე ფრონტის გახსნასთან დაკავშირებით, არსებობდა ინტერესთა შეუთავსებლობა. ამ დაპირისპირებამ სხვადასხვა სტადიები გამოიარა, მაგრამ არსი ისევ ტრადიციულ დილემას უკავშირდება: კოსმოპოლიტიზმი, რომელიც დღეს დასავლეთის „დიფ სთეითისადმი“ მონურ მორჩილებას გულისხმობს, ებრძვის პატრიოტიზმს, რომელიც სუვერენიტეტსა და ეროვნული სახელმწიფოს ინტერესებს აყენებს წინ. ამ კონტექსტშია განსახილველი დღეს ქართულ პოლიტიკურ სივრცეში მიმდინარე საზოგადოებრივი და პოლიტიკური დაპირისპირების მიზეზები, რომელშიც გამოკვეთილია, თუ ვინ უჭერს მხარს პატრიოტიზმს და ვინ კოსმოპოლიტიზმს.**

რომ შევაჯამოთ, ახალ დროში ქართველთა ერთიანობას ხელს უშლიდა და უშლის დასავლური, ე.წ. ტრენდული, ინტერნაციონალური კოსმოპოლიტური იდეოლოგიების მატარებელი პოლიტიკური კლასისა თუ საზოგადოების ნაწილი, რომელიც ფინანსდება და მართვადია გარედან და უცხოეთის დახმარებით ცდილობს ძალაუფლების ძალადობით ხელში ჩაგდებას. მათი მიზანია, ქართველებისგან შექმნას ახალი, მსოფლიო მოქალაქე, რომელსაც არ ექნება ეროვნული შინაარსი, ღირებულებებისადმი და ტრადიციებისადმი ერთგულება და ქართული სახელმწიფოს ინტერესების პირველადობის განცდა. ერთი სიტყვით, „დიფ სთეითის“ მიერ გარედან მართული დღევანდელი რადიკალური ოპოზიცია, ე.წ. არასამთავრობო სექტორი, ე.წ. კრიტიკული მედია და მათი მხარდამჭერი ე.წ. „პროდასავლელი“ საზოგადოება, თავისი კოსმოპოლიტური დღის წესრიგით, ნეოლიბერალური „ვოუქისტური“, გენდერული, რადიკალური მემარცხენე თუ მემარჯვენე ანტიეროვნული იდეოლოგიებითა და სიძულვილის ენით არის ქართველთა ერთიანობისათვის მთავარი დაბრკოლება დღეს.

**გერონტი ქიქოძე 1914 წელს გამოქვეყნებულ წერილში „ენა და ეროვნული ენერგია“, ხაზს უსვამდა ეროვნული შემოქმედებითი ენერგიის გამთლიანების აუცილებლობას. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ ერთიანობის თემა დღესაც მწვავედ გვიდგას და, სწორ პოლიტიკურ ნაბიჯებთან ერთად, მის მისაღწევად აუცილებელია გარედან ფსევდორეფორმით თავსმოხვეული „განათლების დეფიციტის“ აღმოფხვრა და განათლების სისტემის ისეთი რეფორმის ჩატარება, რომელიც განათლებას აქცევს ჩვენი მომავალი თაობების პატრიოტებად და ჰუმანისტებად აღზრდის მძლავრ კერად.**

ქართველმა ხალხმა 26 ოქტომბერს უკვე გააკეთა თავისი არჩევანი და დაადასტურა, რომ მისი დიდი უმრავლესობა მხარს უჭერს სუვერენიტეტს და პატრიოტიზმს, რომელიც არათუ არ ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, არამედ არის კაცობრიობის მზადი და მასაზრდოებელი წყარო. ასე მიაჩნდა ვაჟასაც, რომელიც ამბობდა: „ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი პატრიოტია“.

25 თებერვლის მთავარი გაკვეთილი, ჩვენი აზრით, ისაა, რომ საკმაოდ მტკიცე და შეუპოვრები, ასევე გონიერები და რაციონალურები უნდა ვიყოთ, როცა საქმე ეროვნული ინტერესების დაცვას ეხება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველა სახელმწიფოსა და გაერთიანებას თავისი ინტერესი აქვს და იგი არათუ შეიძლება არ ემთხვეოდეს ჩვენსას, არამედ იყოს საწინააღმდეგო. ქართულმა სახელმწიფომ უნდა შეძლოს ამ გარე ინტერესების სწორად მართვა და უცხო გავლენების მქონე ყველა სუბიექტის საქმიანობიდან მომდინარე საფრთხეების ნეიტრალიზება. ამერიკული „ფარას“ კანონი თუ სხვა ახალი საკანონმდებლო ცვლილებები სერიოზულ ბერკეტებს შექმნის ამ მიმართულებით.

ნეოლიბერალური ინტერნაციონალის „დიფ სთეითთან“ ბრძოლა საქართველომ ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო. დღეს ეს ომი აშშ ახალი ადმინისტრაციის უპირველესი პოლიტიკური ამოცანაა, რომლისთვისაც ასევე პატრიოტიზმია გზა კოსმოპოლიტიზმისკენ და არა პირიქით.

**25 თებერვალი არ უნდა განმეორდეს. ერთიანობითა და გარედან თავსმოხვეული კოსმოპოლიტური იდეოლოგიების მხილებითა და მათი მატარებელი სუბიექტების პოლიტიკური არენიდან ჩამოცილებით, უნდა შევძლოთ ქართული სახელმწიფოს გაძლიერება და მისი სულის ეროვნული იდეოლოგიით გაჯერება.**

**25 II 2025**

# იოსებ სტალინის აღსარება

**გერმანულ** ყოველკვირეულ გაზეთ **„ფრაიტაგში“** (Der Freitag) გამოქვეყნებულია სტატია სათაურით **„იოსებ სტალინის აღსარება. როცა დღევანდელი საქართველო 1921 წელს ჯერ კიდევ დამოუკიდებელი იყო, შემდეგ კი საბჭოთა რესპუბლიკა გახდა, ქართველ ბოლშევიკთა ნაწილი ვლადიმერ ლენინის გაფრთხილებებს ეროვნულ საკითხში ყურადღებას არ აქცევდნენ“** (ავტორი – **ფილიპ ამონი**, ისტორიკოსი და ფილოლოგი. იგი მრავალი წიგნის ავტორია, მათ შორის – **„საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობასა და რუსეთის ოკუპაციას შორის“**).

**გთავაზობთ პუბლიკაციას შემოკლებით:**

der Freitag
Die Wochenzeitung


Stalin beichtet

1921

Zeitgeschichte 11

Inwieweit sich Lenins Haltung in seinem Testament wiederfindet, in dem er vor Stalin warnte, sei dahingestellt

**1921 წლის იანვრის ბოლოს თბილისში გამართულ საზეიმო ბანკეტს, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო-სამართლებრივ აღიარებასთან დაკავშირებით გაიმართა, საბჭოთა რუსეთის ელჩი არონ შეინმანი არ ესწრებოდა. ელჩის ნაცვლად ბანკეტში მისი მოადგილე მონაწილეობდა, რომელმაც იმდენი სასმელი დალია, რომ თავს ვეღარ ერეოდა. მთვრალი ბოლშევიკი დიპლომატი საქართველოს პრემიერ-მინისტრს ნოე ჟორდანიასთან მივიდა და მას ყველას გასაგონად ჭეშმარიტი სოციალისტი უწოდა, შემდეგ კი ქართველ მუშათა კლასს ქება-დიდება უძღვნა. ერთი კვირის შემდეგ კი საქართველოში რუსეთის წითელი არმია შეიჭრა.**

ქართულ არმიას ის გენერლები მეთაურობდნენ, რომლებმაც რუსეთის სამხედრო სამსახურში თავი გამოიჩინეს. მათგან ერთ-ერთი ყველაზე ცნობილია გიორგი მაზნიაშვილი, რომელიც საქართველოში 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა. იმ დროს, როცა ქართული არმიის ქვედანაყოფები წინააღმდეგობას უწევდნენ რუსეთის წითელ არმიას, თბილისთან ახლოს, ქალაქ შულავერში შეიქმნა ქართველი ბოლშევიკების რევოლუციური კომიტეტი (რევკომი) ფილიპე მახარაძის ხელმძღვანელობით. 1921 წლის 25 თებერვალს, სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ, წითელი არმიის ნაწილებმა თბილისი დაიკავეს. გრიგოლ („სერგო“) ორჯონიკიძემ, რომელიც საბჭოთა რუსეთის საქართველოზე თავდასხმას უშუალოდ ხელმძღვანელობდა, ნება მისცა რუს ჯარისკაცებს, რომ ქალაქი გაეძარცვათ... გახშირდა მშვიდობიან მოქალაქეთა მკვლელობები, გაუპატიურებები... მოგვიანებით რევკომმა საქართველო საბჭოთა რესპუბლიკად გამოაცხადა.

საქართველოში ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთანავე ბოლშევიკებმა შეტევა ქართულ ეკლესიაზე განახორციელეს. მათ ბანდიტები სპეციალურად გამოუშვეს ციხიდან, რომ მღვდლებს თავს დასხმოდნენ, დაეხოცათ და ეკლესიები წაებილწათ, გაენადგურებინათ ხელოვნების ძეგლები. ეკლესიამ ხმა აღიმაღლა ბოლშევიკთა თვითნებობის წინააღმდეგ: კათოლიკოსმა ამბროსიმ 1922 წლის თებერვალში გენუის საერთაშორისო კონფერენციის დასავლელ მონაწილეებს მიმართა მოწოდებით – დახმარებოდნენ საქართველოს, ქვეყნიდან საბჭოთა რუსეთის ჯარების გაყვანის საქმეში. კათოლიკოსი დაუყონებლივ იქნა დაპატიმრებული. მისი უკანასკნელი სიტყვები ბოლშევიკური რეჟიმის მიმართ ასეთი იყო: **„ჩემი სული უფალს ეკუთვნის, გული – სამშობლოს და სხეულს რაც გინდათ, ის უყავით“**. ბოლშევიკებმა ვერ გაბედეს მისი სიკვდილით დასჯა. იგი საპყრობილეში 1927 წელს გარდაიცვალა. 1995 წელს ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ კათოლიკოსი ამბროსი (ხელაია) წმინდანად შერაცხა.

ბოლშევიკური ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართველმა მწერალმა და დიპლომატმა კონსტანტინე გამსახურდიამ (1893-1975), 1989 წელს გამოცხადებული მეორე რესპუბლიკის მომავალი პრეზიდენტის მამამ, ვლადიმერ ლენინს წერილი მისწერა, რომელშიც მან რუსი კომუნისტების ხელმძღვანელს საქართველოს პოლიტიკური და ეროვნულ-კულტურული დამოუკიდებლობის აღიარებისაკენ მოუწოდა.

## ქართველი „გადამხრელ-უკლონისტი“ ბოლშევიკები

**რა** თქმა უნდა, საბოლოო ჯამში, ცნობილი იყო, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა უშუალოდ არა იმდენად რუსი ბოლშევიკების მიერ კი არ დაემხო, არამედ მათი ქართველი თანამოაზრეების მეშვეობით. მათ სულ მალე დაიწყეს ქვეყნის რუსიფიკაცია. სხვათა შორის, ქართველ ბოლშევიკებს შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც არ ემხრობოდნენ ხისტი პოლიტიკის გატარებას – მაგალითად, ჯგუფი ნაციონალ-ბოლშევიკ (ე.წ. „უკლონისტ“) ფილიპე მახარაძის მეთაურობით. ამრიგად, ბოლშევიკური ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეროვნულმა თემატიკამ საქართველოში მოულოდნელი გაგრძელება მიიღო. სერგო ორჯონიკიძე, იოსებ სტალინთან ერთად, ქართველი ბოლშევიკების ცენტრისტულ ნაწილს, ანუ ანტიეროვნულ ფრთას წარმოადგენდა. იგი განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა, ყურადღებას არ აქცევდა მოსკოვიდან (ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან) მიღებულ მითითებებს ფრთხილად ემოქმედათ ქართველ ხალხთან მიმართებით. სერგო ორჯონიკიძის ანტიეროვნული საქმიანობის შედეგი იყო ე.წ. „ქართველ გადამხრელთა“ („უკლონისტთა“) საქმის“ აღძვრა 1922 წელს.

საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვაში მთავარი როლი ვლადიმერ ლენინმა კი არა, თვითონ ქართველმა ბოლშევიკებმა შეასრულეს, რომლებსაც თავიანთი სამშობლოს ხილვა ახლად შექმნილ რუსეთის საბჭოთა იმპერიის შემადგენელ ნაწილად სურდათ. ჯერ კიდევ 1923 წლის იანვარში ვლადიმერ ლენინი სერგო ორჯონიკიძისა და „ჩეკას“ ხელმძღვანელის ფელიქს ძერჟინსკის წინააღმდეგ გამოვიდა რუსეთისათვის საქართველოს მიერთების საკითხში. მარტში მან იოსებ სტალინისადმი მიწერილ წერილში ისევ გამოხატა თავისი კრიტიკული პოზიცია სერგო ორჯონიკიძის მიმართ „ქართველ გადამხრელთა საქმის“ გამო. ლენინმა ასევე უსაყვედურა სტალინსაც „უკლონისტების“ დევნასთან დაკავშირებით. გასაგებია, თუ რატომ იქნა კრიტიკულად შეფასებული იოსებ სტალინის პიროვნება ვლადიმერ ლენინის ანდერძში – იგი ბოლშევიკურ პარტიას სტალინის პიროვნებასთან დაკავშირებით აფრთხილებდა.

## აჯანყებები: „დამკომის“ როლი

**ყოველ** შემთხვევაში, ამიერკავკასიაში ბოლშევიკების მიერ სისხლიანი დიქტატურის დამყარება წინააღმდეგობის გარეშე არ მომხდარა. რუსეთის წითელი არმიის შემოსევას და მის წინსვლას ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ბრძოლები მოჰყვა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არაბოლშევიკი ლიდერების – მიწათმოქმედების ყოფილი მინისტრის ნოე ხომერიკისა და სახალხო გვარდიის უფროსის ვალიკო ჯუღელის მცდელობით, 1922 წელს თბილისში და სხვა ადგილებში იატაკქვეშა ჯგუფები მოქმედებდნენ. მათ შექმნეს ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის საიდუმლო კომიტეტი „დამკომი“, რომელიც, საფრანგეთში ემიგრირებული საქართველოს პრემიერ-მინისტრის ნოე ჟორდანიას ნების საწინააღმდეგოდ, ამზადებდა აჯანყებას კახეთში, ხევსურეთში და გურიაში. ანტიბოლშევიკური გამოსვლების მზადების პერიოდში საქართველოს „ჩეკამ“ მოახერხა და ქართული არმიის 15 გენერალი შეიპყრო, მათგან სამი 1923 წლის მაისში დახვრიტეს.

აჯანყების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მცდელობა იყო 1924 წლის აგვისტოს ბოლოს, რომელიც, შეიძლება ითქვას, საკმაოდ მოუმზადებელ და დილეტანტურ ხასიათს ატარებდა. იმის გამო, რომ „დამკომი“ მხარდაჭერით სარგებლობდა დასავლეთ საქართველოში, სადაც მოსახლეობა (გლეხობა) თავისი პოლიტიკური აქტიურობით ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლუციის დროს გამოირჩეოდა, აჯანყებულებმა თავდაპირველად წარმატებას მიაღწიეს, მაგრამ შემდეგ, სამწუხაროდ, დამარცხდნენ. პარტიზანული მოძრაობის ლიდერმა, პოლკოვნიკმა, თავადმა ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილმა, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო მინისტრის მოადგილე იყო, რუს სარდალ სოლომონ მოგილევსკისთან თბილისთან ახლოს გამართული ბრძოლა წააგო. ვალიკო ჯუღელი და ნოე ხომერიკი „ჩეკამ“ შეიპყრო და დახვრიტა, მათთან ერთად კი ანტიბოლშევიკური გამოსვლების 4000-მდე მონაწილეც. აჯანყების დამარცხებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ცალკეული მონაწილეების ღალატმა. 1924 წლის ოქტომბერში იოსებ სტალინმა, მოსკოვში, ცენტრალურ კომიტეტს უპატაკა, რომ საქართველოში „კულაკების, სპეკულანტებისა და ანტისაბჭოთა ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლა წარმატებით დასრულდა“.

## ნიკოლაი ილმინსკი – ლენინის დამრიგებელი?

**და მაინც**, ბოლშევიკების მიმართ ქართველი ხალხის გარკვეული ნეგატიური დამოკიდებულების მიუხედავად, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება მტკიცდებოდა, ეროვნული სპეციფიკის გათვალისწინებით – ხდებოდა ქართული ეროვნული ინსტიტუტების (სკოლების, უნივერსიტეტის, აკადემიის) განვითარება. მმართველი კომუნისტური (სახელმწიფო) პარტია თავისი აპარატითა და სპეცსამსახურებით წინ მიდიოდა.

როგორც ცნობილია, ვლადიმერ ლენინი, როზა ლუქსემბურგისაგან განსხვავებით, აღიარებდა ერის პროგრესულ ფუნქციას. ამერიკელი ისტორიკოსი რობერტ პოლ ჯერაჩი ვარაუდობს, რომ ლენინის პოზიციაზე გავლენა მოახდინა ცნობილმა რუსმა ვოლგისპირელმა მისიონერმა და ბიბლეისტმა, ფილოლოგის პროფესორმა, რუსეთის საიმპერიო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ნიკოლაი ილმინსკიმ, რომელიც მამამისთან – ილია ულიანოვთან მეგობრობდა. სწორედ ილმინსკის ბინაში ცხოვრობდა ლენინი 1887 წელს, როცა ყაზანის უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად ემზადებოდა. სხვათა შორის, სწორედ ნიკოლაი ილმინსკიმ უშუამდგომლა უნივერსიტეტიდან გარიცხულ ვლადიმერ ლენინს (იმ დროს ჯერ კიდევ ულიანოვს), გამოსაშვები გამოცდა იურისპრუდენციაში ექსტერნის სახით ჩაებარებინა. როგორც რობერ პოლ ჯერაჩი წერს, მოგვიანებით ლენინმა ნიკოლაი ილმინსკის შეხედულებები ეროვნულ-პოლიტიკურ სიბრტყეზე გადაიტანა. შესაძლოა, სწორედ ამის გამო, ბედის ირონიით, ქართულ კულტურას (ენას, ლიტერატურას და ნაწილობრივ, ეკლესიასაც), სხვებთან შედარებით საბჭოთა ხელისუფლების დროს ჰქონდა შესაძლებლობა, შედარებით უფრო დაუბრკოლებლად განვითარებულიყო, ვიდრე მეფის ხელისუფლების დროს.



## იოსებ სტალინის აღსარება

**ისიც** კარგად არის ცნობილი, რომ 1920-30-იანი წლების დევნის შემდეგ იოსებ სტალინმა ეკლესიას სულის მოთქმის საშუალება მისცა: ყოფილი სემინარისტი თვლიდა, რომ მას გერმანიასთან ომის მოგება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ ეკლესიას მოქმედების მეტ შესაძლებლობას მისცემს. ამასთან, სადაოდ რჩება საკითხი, რით და როგორი დონით იყო განპირობებული სტალინის უკანდახევა ეკლესიასთან ბრძოლაში – რელიგიის სარგებლობით, შიდა თუ ტაქტიკური მოტივებით. უკვე საკმაო ხანია დავა მიმდინარეობს იმაზეც, ნამდვილად მოაძებნინა თუ არა სტალინმა 1941 წელს მატრონა მოსკოვსკაია და ნამდვილად დაასვენა თუ არა ოფიციალურად ღვთისმშობლის ხატი მოსკოვში, ლენინგრადში და სტალინგრადში, რომელთა დაპყრობას გერმანიის ვერმახტი ცდილობდა.

სამაგიეროდ, ნამდვილად არის ცნობილი და დადასტურებული, რომ იოსებ სტალინმა კრემლში პატარა სამლოცველო მოაწყო, სადაც მან რამდემჯერმე თქვა აღსარება (ცოდვები აღიარა და მოინანია) და ზიარება მიიღო სიკვდილის წინა ომის შემდგომ პერიოდში.

იაკობ ეგნატაშვილის – იოსებ სტალინის ბიძაშვილის შვილიშვილი წერს: „შემთხვევით, მოსკოვის ახლოს მე ღრმად მორწმუნე მოხუც კაცს შევხვდი. როცა მას წარვუდექი და ვუთხარი – თინათინ ეგნატაშვილი ვარ-მეთქი, მიპასუხა: „დიახ, ვიცი, რომ თქვენი გვარი სტალინთან არის დაკავშირებული“. „იცით თუ არა, რომ სტალინმა აღსარება თქვა და ცოდვები აღიარა?“. მე გაკვირვებულმა ვკითხე: „ვინ, იოსებ სტალინმა?“. „დიახ“, – თქვა მან, – სტალინმა აღსარება ოთხჯერ ჩააბარა – 1941, 43, 45 და 1948 წლებში“.

ქართული ეკლესიის ეროვნულ მნიშვნელობაზე და ავტორიტეტზე, რომლის ავტოკეფალია იოსებ სტალინის მმართველობის პერიოდში აღდგა, ისიც მეტყველებს, რომ ათეისტური ბრძოლის პერიოდში, რომელიც ნიკიტა ხრუშჩოვის დროს ისევ საკმაოდ გაძლიერდა, ქართველი პოეტი გიორგი ლეონიძე, პარტიის წევრი 1945 წლიდან, საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მონაწილეობდა ზეიმში, რომელიც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ მეორის ინტრონიზაციას მიეძღვნა 1960 წლის 21 თებერვალს.

საქართველოში, წითელი არმიის ნაწილების მიერ ანტიბოლშევიკური გამოსვლების ჩახშობის შემდეგ, ეროვნული კონტექსტის მქონე პოლიტიკური კონფლიქტები (საპროტესტო გამოსვლები) არაერთხელ მოხდა – 1956 წლის მარტში (კომპარტიის XX ყრილობაზე იოსებ სტალინის პიროვნების კულტის დაგმობის შემდეგ), 1978 წლის აპრილში (ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის რუსული ენით შეცვლის მცდელობის საპასუხოდ) და ბოლოს, 1989 წლის 9 აპრილს, საქართველოს დამოუკიდებლობის მეორედ აღდგენის წინა ხანებში.



მოამზადა
**სიმონ კილაძემ**




# ფუჭი იმედი სასოწარკვეთილებაზე უარესია

**მედიცინაში არსებობს პლაცებოს ეფექტი, როცა ავადმყოფს არწმუნებენ, რომ აღმოჩენილია სასწაულმოქმედი წამალი, სინამდვილეში კი ასმევენ ნეიტრალური შემადგენლობის უწყინარ აბებს და პაციენტი იწყებს გამოჯანმრთელებას.**

**შესაძლოა, უხეირო შედარება გამოგვივიდეს, მაგრამ რაღაც ასეთ შემთხვევასთან გვაქვს ამჟამად საქმე, როცა დედაქალაქსა თუ რეგიონების მოსახლეობის ნაკლებად ინფორმირებულ ნაწილს შთააგონებენ, რომ 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნები გაყალბდა, ხელისუფლებამ ევროატლანტიკური ვექტორი რუსეთის სასარგებლოდ შეცვალა და ძალადობრივი საპროტესტო აქციების დროს დაკავებული მოქალაქეები უცოდველი კრავები, რეჟიმის ტყვეები, ანუ პოლიტპატიმრები არიან!**

სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკის მიხედვით, „ვირი ერთსა უყესა ტალახსა შიგან გაატარე, რათა დაეფლას. მერმე გზა იგი გაახმე. თუმცა შენ ვირი გზასა მას ზედა გაატარო, უგუნურმცა არს“.

როცა ოპოზიცია ადგილობრივ, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში პერმანენტულად მარცხდება და მარცხის მიზეზების გაანალიზების მაგივრად, ხელისუფლებას სდებს ბრალს, ეტყობა, სისტემურ პრობლემასთან გვაქვს საქმე, რაც ქვეყნის დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით, საზიანოა.

„ქართულ ოცნებას“ სტაბილური ამომრჩეველი არ ჰყავს, მხოლოდ სააკაშვილის შიშით აძლევენ ხმასო, ისეთი ტონით განაცხადა გუბაზ სანიკიძემ, გეგონება, ხელისუფლების ბრალი იყოს, სააკაშვილის სადისტური რეჟიმის ხსენებაზე წესიერი ამომრჩევლები არაბული აქლემებივით რომ ინერწყვებიან და პირჯვარს იწერენ ანტიქრისტეს მოლოდინში!

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „ხალხის ნება უნდა იყოს საფუძველი მთავრობის ძალაუფლებისა, ეს ნება უნდა გამოიხატებოდეს პერიოდულ და გაუყალბებელ არჩევნებში, რომლებიც უნდა ტარდებოდეს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების პირობებში ფარული კენჭისყრით ანდა, სხვა თანაბარმნიშვნელოვანი ფორმების მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფენ ხმის მიცემის თავისუფლებას“.

ეუთო-ოდირის სადამკვირვებლო მისიის ავტორიტეტული დასკვნით, 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა კონკურენტულ გარემოში და დაფიქსირდა მხოლოდ პროცედურული ხასიათის ისეთი დარღვევები, რომლებიც გავლენას ვერ მოახდენდა საბოლოო შედეგებზე. იგივე მოსაზრებისაა საქართველოს სახალხო დამცველი **ლევან იოსელიანი,** რომელიც, მისი წინამორბედების **უჩა ნანუაშვილისა** და **ნინო ლომჯარიასგან** განსხვავებით, მიკერძოებულ შეფასებებში გაკეთებაში არ გახლავთ შემჩნეული.

ანგარიშის გამარტივების მიზნით, თეორიულადაც რომ დავუშვათ 120 ათასი ხმის გაყალბება, იმ დარჩენილ ერთ მილიონ ამომრჩეველს რატომღა შეურაცხყოფთ, ცხვრებსა და ივანიშვილის მონებს რომ უწოდებთ, როგორც ეს გარეწარმა დავით ნებიერიძემ გააკეთა ტელევიზიის პირდაპირ ეთერში?!

არც „ქართული ოცნების“ წევრი ვარ, არც საჯარო მოხელე, არც ივანიშვილის სტიპენდიატი და სერიოზული საფუძველიც მაქვს განაწყენებული ვიყო ხელისუფლებაზე, მაგრამ რა უფლებით მიკრძალავთ, გავაკეთო არჩევანი, რომლის მართებულობაში დარწმუნებული ვარ?

ცნობილი რუსი ემიგრანტის, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის პიტირიმ სოროკინის ავტორიტეტული აზრით, **ხელისუფლების მაღალი ეშელონებისკენ თავაწყვეტილი მიილტვიან პატივმოყვარეები, ფსიქოპათეტები და მორალურად გახრწნილი გარეწრები.**



**ეს ტუტუცი ლორა თორნტონი იმ ბნელი და რეაქციული ძალების ტიპური წარმომადგენელია, რომელსაც ღორის ქონისგან გაპოხილ ნიჩაბზე დასვამს უახლოეს მომავალში პრეზიდენტი ტრამპი. ახლა ამ ძალებს „დიფ სთეითი“ დაერქმევა, ფარული დასი, თუ დეგრადირებული კლასი, ამით არაფერი შეიცვლება, რადგან კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოდინდების.**

საკმარისია, თვალი გადაავლო ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსანთა გალერეას, რათა დარწმუნდე, რომ ყველა ეს კატეგორია რელიეფურად არის წარმოდგენილი.

იმისათვის, რომ ჩატარდეს ნორმალური და სამართლიანი არჩევნები, ეს რეჟიმი უნდა დაემხოსო, განაცხადა ხატია დეკანოიძემ, რომელსაც მხარი აუბა ქართული პოლიტიკის კვაზიმოდომ ნიკა გვარამიამ: ჩვენ უნდა დავამხოთ ივანიშვილი და რუსეთს გამოვსტაცოთ სამშობლოო!

პარადოქსია, აბა, რა არის, როცა გვარამია სამშობლოზე, ხოლო დეკანოიძე სამართლიანი არჩევნების ჩატარებაზე იწყებენ საუბარს!!!

მსოფლიოო სახიოფათო ადგილია არა იმ ადამიანების გამო, ვინც ბოროტებას სჩადის, არამედ იმათ გამო, ვინც უყურებს და ხელს არ უშლისო, ნათქვამი აქვს ალბერტ აინშტაინს. ხელის შეშლა კი არა, ცალკეული ევროკომისრები თუ ემისრები, ისევე, როგორც ამერიკელი სენატორ-კონგრესმენები ღია ტექსტით აქეზებენ აქაურ ექსტრემისტებს. ხომ კარგად გვახსოვს, სამგზის წყეული მაკკეინის ინსტიტუტის გლობალური დემოკრატიის კვლევების პროგრამების ხელმძღვანელი გაკვირვებას რომ გამოხატავდა, ხანგრძლივი პროტესტის მიუხედავად, ჯერჯერობით, მსხვერპლი არ არისო!

ეს ტუტუცი ლორა თორნტონი იმ ბნელი და რეაქციული ძალების ტიპური წარმომადგენელია, რომელსაც ღორის ქონისგან გაპოხილ ნიჩაბზე დასვამს უახლოეს მომავალში პრეზიდენტი ტრამპი.

ახლა ამ ძალებს „დიფ სთეითი“ დაერქმევა, ფარული დასი, თუ დეგრადირებული კლასი, ამით არაფერი შეიცვლება, რადგან „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოდინდების“.

როგორც ჩანს, რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში ეჭვმიტანილმა ელენე ხოშტარიამ გაითვალისწინა მისი სულიერი დაქალის წერილი, როცა სასურველი მესიჯი გაუგზავნა: თუ ბევრნი ვიქნებით, ადვილად შევასრულებთ დასახულ ამოცანას, ხოლო ცოტანი თუ ვიქნებით, მაინც მოვიგებთ, ოღონდ მეტი დრო დაგვჭირდება და მეტი მსხვერპლიო!

სხვათაშორის, ქალბატონი თორნტონი ისეა გათავხედებული, სახელისუფლებო პარტიას ღია ტექსტით ემუქრება და პოლიტიკურ აღსასრულს უწინასწარმეტყველებს: „ქართულო ოცნებავ“, შენი დღეები დათვლილია!“

ყოველივე ამის გათვალისწინებით, სრულიად ლოგიკურია, რომ მაკკეინის ინსტიტუტმა სასათბურე პირობები შეუქმნა ვადაგასულ სალომე ზურაბიშვილს – დაუნიშნა შნობელის პრემია თუ სტიპენდია და დაუქირავა ოფისი დედაქალაქის პრესტიჟულ უბანში. სავარაუდოდ, ასეთმა განსაკუთრებულმა მზრუნველობამ შეუქმნა ზურაბიშვილს იმის ილუზია, რომ ერთადერთი და განუმეორებელია ქართული პოლიტიკის ცის კაბადონზე.

2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში კამალა ჰარისის დამარცხების შემდეგ, კოლექტიურ ნაცმოძრაობას პოლიტიკური პანაშვიდი ჰქონდა გამოცხადებული: „მზე ჩაგვისვენდა, ბნელსა ვსვჭვრეტთ, ღამესა უთენაროსა“-ო, მაგრამ ნაორმოცევს მხნეობა მოიკრიბეს და ტრამპის ინაუგურაციაზე დასასწრებად გაემგზავრნენ შეერთებულ შტატებში, ზოგი თვითნებურად, ზოგი კი მიხრწნილებაში მყოფი კონგრესმენის ჯო უილსონის თავხედური მოწვევით.

მას შემდეგ, რაც ამერიკიდან ხელშესახები ვერაფერი ჩამოიტანეს, რევოლუციური კომიტეტის დავალებით გვარამია გაიგზავნა ბრიუსელში, რომელმაც ოლია მათხოვარივით ააწრიალა ევროკავშირის ბიუროკრატია, თუმცა, სიტყვიერი მხარდაჭერის იქით საქმე არ წასულა.

გვარამია ქართულ კლასიკოსებს რომ კითხულობდეს, კონსტანტინე გამსახურდიას 1922 წლის ის წერილი ეცოდინებოდა, სადაც არგუმენტირებულად არის მხილებული ევრობიუროკრატია: „ჩვენი მეფეები და მთავრები მუდამ ევროპას უხმობდნენ საშველად, მაგრამ გამოხმაურება მხოლოდ დელიკატურ ეპისტოლეებში იხატებოდა. ასეთი მარტოსულობით გავატარეთ ბნელი შუა საუკუნეები. ახალი კაპიტალისტური ეპოქის დასაწყისში მიმოდიოდნენ ჩვენთან ევროპელები, მეცნიერები, უსამშობლო პოეტები, კურიოზის და ეგზოტიკურობის მონადირეები. ბევრს თვალი მოსჭრა ქართველების რაინდულმა ჟესტიკულაციამ, ქართველი ქალის სილამაზემ, ქართულმა ღვინომ და ლხინმა, ეს მეგობრობა ბევრისთვის სამგზავრო მემუარებით გათავდა, სადაც ტყუილი და მართალი ერთმანეთშია არეული. ამიერიდან ჩვენ ისეთ უცხოელებს დავაფასებთ, რომელნიც ჩვენს ამაგს დააფასებენ“.

ასე უნდა იქცეოდეს ყველა თავმოყვარე ერი და ამიტომაც არის დასაფასებელი ხელისუფლების ძალისხმევა იმასთან დაკავშირებით, რომ ღირსების სრული დაცვით მოხდეს ინტეგრაცია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში.

სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო, ნათქვამია. მისასალმებელია, რომ ხელისუფლებამ ყურად იღო საზოგადოების კატეგორიული მოთხოვნა და ინტენსიურად დაიწყო იმ საკანონმდებლო სიცარიელის ამოვსება, რომელიც დაუსჯელობის განცდას აჩენდა რევანშისტულად განწყობილ ოპოზიციის რიგებში.



**ჩვენი მეფეები და მთავრები მუდამ ევროპას უხმობდნენ საშველად, მაგრამ გამოხმაურება მხოლოდ დელიკატურ ეპისტოლეებში იხატებოდა. ასეთი მარტოსულობით გავატარეთ ბნელი შუა საუკუნეები. ახალი კაპიტალისტური ეპოქის დასაწყისში მიმოდიოდნენ ჩვენთან ევროპელები, მეცნიერები, უსამშობლო პოეტები, კურიოზის და ეგზოტიკურობის მონადირეები. ბევრს თვალი მოსჭრა ქართველების რაინდულმა ჟესტიკულაციამ, ქართველი ქალის სილამაზემ, ქართულმა ღვინომ და ლხინმა, ეს მეგობრობა ბევრისთვის სამგზავრო მემუარებით გათავდა, სადაც ტყუილი და მართალი ერთმანეთშია არეული. ამიერიდან ჩვენ ისეთ უცხოელებს დავაფასებთ, რომელნიც ჩვენს ამაგს დააფასებენ.**

კანონთა სიმრავლე ცოდვათა სიმრავლის მაჩვენებელიაო, ამბობდა ფრიდრიხ ნიცშე. ამ დასკვნას ფილოსოფიური საბურველი რომ ჩამოვაცილოთ, მივიღებთ არასახარბიელო რეალობას, რომელშიც ჩვენი ბედკრული სამშობლო ბოლო პერიოდში იმყოფება.

ღმერთმა დამიფაროს, რადიკალური ზომების მომხრე ვიყო, მაგრამ მკაცრი სამართლებრივი ბაზის გარეშე სახელმწიფოებრივი მდგრადობის შენარჩუნება რომ გართულებულია, ამის უარყოფა შეუძლებელია.

1765 წლის შეთქმულების დროს, როცა პაატა ბატონიშვილი ერეკლეს მკვლელობას გეგმავდა თანამზრახველებთან ერთად, განრისხებულმა მეფემ საკითხი სასამართლოზე გაიტანა და მოღალატე ბიძას თავი გააგდებინა! მართალია, 21-ე საუკუნეში მიდგომები შეიცვალა, მაგრამ მორალურ-სამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ყველას, ვინც ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში იქნებიან მხილებული. სასიცოცხლოდ აუცილებელია ილუზიები არ შეიქმნას ოპოზიციამ, რადგან ფუჭი იმედები სასოწარკვეთილებაზე უარესია. სიმტკიცე მართებს ხელისუფლებას, განსაკუთრებით მაშინ, როცა სიმართლე მის მხარესაა და ფართო საზოგადოების მხარდაჭერა გააჩნია.

განწმატებულმა ოპონენტმა შეიძლება ჯანდაბისკენ გიკრას თავი, მაგრამ ეს სულაც არ გავალდებულებს, რომ იქ მართლა წახვიდე!

მორის ფოცხიშვილს პოეტურმა ალღომ უკარნახა ჭეშმარიტება, რომელიც გულის ფიცარზე უნდა დაიწეროს ყველა პატრიოტმა ქართველმა, ვისთვისაც სამშობლო სალოცავი ხატია და არა მხოლოდ კედელზე გაკრული ლოზუნგი:

**„ჩვენ ვართ შვილები ერთი ღმერთისა,**
**ჩვენ ვართ შვილები ერთი ქვეყნისა,**
**ჩვენ ვართ და-ძმები ერთმანეთისა...“**

**2024 წლის ნოემბერში, როცა საქართველოში მიმდინარე პროცესების ესკალაცია დაიწყო, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილმა სპეცმრჩეველმა პოლ გობლემ კეთილი რჩევა მოგვცა: „ორივე მხარეს, ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც მართებს სიფრთხილე. მცირედი გადაცდომა და შესაძლოა განსაზღვრული ნეგატიური პროცესები დაბრუნდეს, რადგან რეგიონში რადიკალური ცვლილებებია მოსალოდნელი, თანაც მალე“...**

**ვიფიქროთ ამაზე, მეგობრებო და ნუ გადავაყოლებთ ვიწროპარტიულ ინტერესებს ამ ღვთივკურთხეულ ქვეყანას.**



**თეიმურაზ ჯანელიძე**




# ომარ გოგიაშვილის ხუთტომეულის ეროვნული თვალსაწიერი



**თუკი მეცნიერის მიერ გაწეულ შრომაზე ითქმის ფუნდამენტური, ამ შეფასებას სავსებით იმსახურებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის ომარ გოგიაშვილის ნაშრომების ხუთტომეული, რომელიც მიძღვნილია ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისადმი.**

**ომარ გოგიაშვილი ჩვენი საზოგადოებისათვის ცნობილია როგორც პოლიტიკური მოღვაწე, შემდეგ საგანმანათლებლო ინსტიტუციების ხელმძღვანელი და პედაგოგი. ჩემთვის პირადად ცნობილი არაა, რა დროიდან მოჰკიდა ხელი ბატონმა ომარმა მეცნიერულ მოღვაწეობას, მაგრამ მისი ნაშრომების ცალკეული ნაკვეთები, თვით ილია ჭავჭავაძის შესახებ, ჩვენს სამეცნიერო ორგანოებში რელიეფურად გამოჩნდა 2000 წლის შემდეგ. ხუთტომეულის პირველი ტომი კი, რომელიც მან საზოგადოებას წარუდგინა და რომელთა შესახებ მსურს მივაწოდო ინფორმაცია მკითხველს (ჩემს წერილს მხოლოდ ამის პრეტენზია აქვს) დაიბეჭდა 2011 წელს, ხოლო უკანასკნელი მეხუთე ტომი 2016 წელს. ბუნებრივია, რომ ამ ტომეულების საერთო რაოდენობა, რომელიც მოიცავს 2649 გვერდს, ვერ დაიწერებოდა ექვს წელიწადში, ჩემი ვარაუდით, ეს დრო დასჭირდებოდა ილია ჭავჭავაძის ვრცელი შემოქმედების მხოლოდ წაკითხვას და მისი მასშტაბურობის აღქმას, ხოლო მეცნიერულ ქურაში მის გატარებას არც სამჯერ ექვსი წელი ეყოფოდა.**

ეს მცირე, და ამ წერილისათვის არცთუ შესაფერისი მათემატიკა, დავისაჭიროვე იმის ნათელსაყოფად, თუ რა დროიდან მოუკიდია ხელი ბატონ ომარს ამ უვრცელესი თემის დამუშავებისათვის. თუ გავითვალისწინებთ შემოქმედის სურვილის თითქმის მიღებულ ნორმას, რომ მკითხველს დასრულებისთანავე წარუდგინოს საკუთარი შრომის შედეგი, მაშინ შეუძლებელია, არ გაგაკვირვოთ ავტორის მოთმინებამ, საქმის ბოლომდე მიყვანის მტკიცე ნებამ და სადღაც მოულოდნელობის ეფექტმა, რამაც აშკარად იმოქმედა ქართულ სამეცნიერო საზოგადოებაზეც.

ილია ჭავჭავაძის შესახებ დღემდე უამრავი რამაა დაწერილი, მისი შემოქმედების ეს პროდუქტი შესაძლოა უზარმაზარ ბიბლიოთეკად წარმოვიდგინოთ, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ ეს მარადიული გმირი და მოაზროვნე ჩვენი ქვეყნისა, მუდამ იძლევა საზრდოს ნებისმიერი ინტელექტუალური ადამიანისათვის, იძლევა პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივი, ბელეტრისტული, კრიტიკული, პროზაული და პოეტურ სფეროში გასარკვევად, ქართველთა სულიერი მდგომარეობის აღსაქმელად, წარსულის შესაფასებლად და მომავლის განსაჭვრეტად. ილია ჭავჭავაძე ნებისმიერი ქართველი მოაზროვნისათვის არის გონიერების დაუშრეტელი წყარო, რომლის წიაღიდან ყველას შეუძლია აიღოს იმდენი, რამდენის ატანასაც შეძლებს, თავისთავად ეს არც ისე ურისკო საქმეა და ყველა ვინც ილიას შეზედავს თავისდაუნებურად დგება კითხვის ქვეშ – რა უნდა ითქვას კიდევ ახალი ილიას შესახებ?

ზემოთ, გაუცნობიერებლად არ მითქვამს სიტყვა ფუნდამენტური, რადგან ომარ გოგიაშვილის ამ ნაშრომში არის საკითხთა წრე, რომელნიც ასეთი თანმიმდევრობით და ასეთი ფართო მასშტაბით აქამდე არ განხილულა.

**საგულისხმოა, რომ ამ ხუთტომეულს აქვს ერთი სათაური „ილია დღეს“, რაც უეჭველად გვაგულისხმებინებს ავტორის განზრახვას, ფართოდ მოხაზოს ამ დიდი კაცის გავლენა და ზემოქმედება ქართველი ერის არა მხოლოდ წარსულზე, არამედ მის მომავალზე, მის დღევანდელობაზე, ქართველი ხალხის სულიერი ენერგიის გაძლიერებაზე, რომლის გარეშე არ არსებობს ეროვნული წინსვლა და წარმატება.**

ნიშანდობლივად უნდა გამოიყოს უმთავრესი მიზანი ავტორის ნაკვლევისა: გვაჩვენოს ეროვნული იდეის მარადიულობა, რომელიც დამახასიათებელი იყო ამ დიდი მოაზროვნისათვის. როგორც ავტორი აღნიშნავს: ილია ზედმიწევნით იცნობდა თავისი დროის ევროპის ძველსა თუ ახალ პოლიტიკურ მიმდინარეობებს, იცნობდა მათ შემქმნელთა აზრობრივ მიმართულებებს, ახდენდა და აკეთებდა ამ შეხედულებათა სინთეზს და წინ წამოსწევდა ეროვნული იდეის პრიმატს. შესაძლოა ესაა ყველაზე თვალსაჩინო პოზიცია, რომელიც ილიას გამოარჩევს სხვათაგან და გასაკვირი ილიას ამ პოზიციაში არაფერია, რადგან ეროვნულობის საკითხი ჩვენი ბედდამწვარი ისტორიის თანმდევი მოვლენა და დაურწყულებელი წყურვილის გამოხატულება იყო მუდამ და რჩება დღესაც. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ეროვნულობის საკითხის გადაწყვეტის უმნიშვნელოვანეს პირობად ილია ჭავჭავაძე წოდებათა შორის ანტაგონიზმის მოსპობასა და შერიგების იდეას ასაბუთებდა, რაც მიუღებელი იყო კლასთა შორის გარდაუვალი დაპირისპირების მომხრეთაგან, რის გამოც ისინი ილიას აკრიტიკებდნენ. ბატონი ომარ გოგიაშვილი, რომელიც თავისი ნაშრომის პირველ ტომს ფაქტობრივად ამ პრობლემას უძღვნის, სავსებით სამართლიანად ასკვნის, რომ ასეთი დამოკიდებულება აზრს აცლის ილიას ეროვნულ იდეოლოგიას. თუ ილიას ამას გამოვაკლებთ, **ეს იგივე იქნება, ჰეგელის აზროვნებას დიალექტიკა გამოვაცალოთ. ილიას პოლიტიკური ფილოსოფია ნასაზრდოებია იმ შინაგანი მოცემულობით, რომელიც საქართველოს ეთნოკულტურის პრიმატს, მის მემკვიდრეობით ღირებულებებსა და ტრადიციისადმი დამოკიდებულებებს რომ ემყარება.**

ხუთტომეულში დაწვრილებითაა განხილული ილიას მეცნიერული და პოლიტიკური კვლევის მეთოდი და მისი არსებითი ნიშნები, ილიას მსოფლაღქმის, მსოფლგაგების სისტემური და მთლიანი ასპექტები, ზოგადი სახით ამ ვრცელი ფორმატის გამოკვლევას მრავალი წახნაგი და არაერთი საინტერესო იდეა აქვს წამოწეული, რომელთაგან გამოვყოფდი ავტორისეული დამოკიდებულების ხარისხს, რომელიც მას გააჩნია ილიასა და მისი შემდგომი თაობის მიმართ, წარსულისა და მომავლის ადაპტირების, მისი შეცნობისა და სამომავლოდ გამოყენების თვალსაზრისით, თხზულებათა საერთო სათაური „ილია დღეს“ სწორედ ამაზე მიანიშნებს. როგორც ბატონი ომარ გოგიაშვილი აღნიშნავს: მის ნაშრომთა ერთი უმთავრესი ამოცანაა ჩვენება იმისა, თუ რამდენად თანამედროვეა და რამდენად გამოყენებადია დღევანდელი ტრანსფორმირებადი საზოგადოებისა და პერმანენტული „ახლად შენების“ ქართული სახელმწიფოებრიობისათვის ილიას პოლიტიკური ნააზრევი. მიმაჩნია, რომ ასეთი დამოკიდებულება არის ერთი უმთავრესი მიზანი ზოგადად ჰუმანიტარული მეცნიერებისათვის და კერძოდ ისტორიისათვის, როგორც საგნისათვის. ილიასავე სიტყვებით რომ ვთქვათ **„წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო – მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზედ გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია“**. დღევანდელი გლობალისტური პროცესების ოკეანეში საქართველო დანთქმად გემს დაემსგავსებოდა, რომ არა ჩვენი ქვეყნის ისტორია და ის კულტურული მემკვიდრეობა, რომლის მერმისის გადასარჩენად იბრძოდა ჩვენი დიდი წინაპარი, ილია ამ მემკვიდრეობას რაცხდა სწორედ იმ ღუზად, რომელმაც უნდა გვიხსნას დაღუპვისაგან.

ხუთტომეულის უვრცელესი მოზაიკის შესახებ შეუძლებელია, აქ გაკვრით მაინც ითქვას რაიმე, მაგრამ მიმაჩნია, რომ უძირითადესი საკითხები, რომელსაც ავტორი განიხილავს, ეხება ისეთ ვრცელ თემებს, როგორებიცაა: **ლიბერალიზმის ანატომია და მისი ადგილი საქართველოში, ისტორიული მემკვიდრეობითობა და ეროვნული ღირებულებები, კონსტიტუციური მონარქია და ავტონომიზაციის პრობლემა, რელიგიები და პოლიტიკური სისტემები, სარწმუნოება და ეროვნულობა, ევროპული დიპლომატიის არსი და მისი გაგების ფორმულირება, რომლის გათვალისწინება დღევანდელი ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილის პოლიტიკური ავადობის განკურნებისათვის უებარ საშუალებად მესახება.**

გარდა ზემოთ თქმულისა, ამ ნაშრომში ბატონი ომარ გოგიაშვილი წამოწევს და აშუქებს არსებითი ხასიათის ისეთ პრობლემებს, რომლებმაც ილიას მეშვეობით მიიღეს გაცნობიერების ისეთი ღრმა და ნათელი ფორმა, რომლის მსგავსი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში მანამდე არავის მოუცია.

* * *

**აქვე** მსურს, ძალზე მოკლედ შევეხო, ომარ გოგიაშვილის მნიშვნელოვან გამოკვლევას იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელ ქიქოძის შესახებ, რომლის ეტიუდური პორტრეტი, ილიას დამოკიდებულებით კია მოხაზული ტომეულების მესამე წიგნში, მაგრამ ვრცელი სათქმელისათვის ავტორს ამ თემის დამუშავება განუზრახავს და 2017 წელს დაუსრულებია და ბეჭდური სახით გამოუცია მონოგრაფია **„წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი, პიროვნება და ღვაწლი“**. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ეს გამოკვლევა გაგრძელებაა ხუთტომეულის იდეისა, ანუ მიმართულებისა, რომელიც ილია ჭავჭავაძეს და გაბრიელ ეპისკოპოსს ეჭირათ თავიანთი ქვეყნის მიმართ. არ მეგულება მეორე პიროვნება თანამედროვეთა შორის, რომლისთვისაც ილიას ჭავჭავაძეს ასეთი კრძალვა და პატივისცემა ასე სახალხოდ გამოეხტოს, როგორიც მან გაბრიელ ეპისკოპოსს მიუძღვნა მისი დაკრძალვის დღეს გელათში. ილიასათვის დამახასიათებელი შინაგანი გონივრულობით სავსე სიტყვაში ერთი ასეთი წინადადებაცაა **„თვითოეული წამი მისის ცხოვრებისა – მოძღვრებაა, მაგალითია, ანდერძია ჩვენთვის და ჩვენის ქვეყნისათვის. ერთად კი მთელი მისი ცხოვრება ერთი დიდი სკოლაა მაღალ-სათნოებისა და სიყვარულისა, მართლისა და ჭეშმარიტებისა“.** ასეთი სიტყვები ემოციით არ იშვებიან, ამ თქმაში გასაგნებულია მოღვაწეობის ისეთი ხარისხი, რასაც მხოლოდ სამშობლოს სამსახურისათვის მიეგება მოღვაწეს. საგულისხმოა წიგნის ავტორის აღიარება, რომ ეპისკოპოს გაბრიელის პიროვნებასთან იგი ილიას დამოკიდებულებამ მიიყვანა. ცხადია, გაბრიელ ეპისკოპოსის თემა ჩვენს ისტორიოგრაფიაში სიახლეს არ წარმოადგენს და მასზე ბევრი გამოკვლევაა დაწერილი, მაგრამ ომარ გოგიაშვილის ეს ნაშრომი ძირითადად ეხება დიდი საეკლესიო მოღვაწის რელიგიური ფილოსოფიის საკითხების შესწავლა-გამომზეურებას, რაც რელიეფურად აისახა როგორც გაბრიელის წერილობით თხზულებებში, ასევე საყოველთაოდ ცნობილ ქადაგებებში, რომლებიც მოიცავენ ისეთ თემებს როგორებიცაა: **ზოგადქრისტიანული და კონფესიური ღირებულებები, მართლმადიდებლობა და ეროვნულობა, ღვთისმსახურების ენა და სასულიერო განათლება, რელიგია როგორც ზნეობრივი ფილოსოფია, ცოდნისა და რწმენის პრობლემა მეცნიერებაში, შრომის ზნეობრივი ღირებულება, ადამიანური ვნების ფორმები, მათი ფსიქოლოგიურ-სოციალური საფუძვლები** და სხვა.

ბუნებრივია, ომარ გოგიაშვილის თხზულებების შესახებ მიძღვნილ ამ გამოხმაურებას ოდნავადაც არ შეუძლია, გადმოსცეს ხანგრძლივი შრომის ის მასშტაბი და კვლევის ის სიახლენი, რაც ამ ტომეულებში ჩაუდევს ავტორს, მაგრამ ამ რეკლამებით გაბატონებულ სამყაროში მას გარკვეული სამსახურის გაწევა ნამდვილად შეუძლია.

დაბოლოს, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ომარ გოგიაშვილის ამ თხზულებებს მივიჩნევ მნიშვნელოვან მოვლენად არა მხოლოდ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო კვლევების ხაზით, არამედ საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებითაც. უდავოა, რომ ეს ნაშრომები, სრულიად ახალ ფურცლებს შლიან ილია ჭავჭავაძის შემოქმედების სრულყოფილი შემეცნებისათვის.



**ელდარ ნადირაძე,**
**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი**

# ამერიკული „მაქოსებრი დიპლომატია" და ქართული დომინო

**„ვაშინგტონს სჭირდება მოსკოვთან კომუნიკაციის არხის შენარჩუნება, რადგან რუსეთი გლობალურ ძალად რჩება", – განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მარკო რუბიომ ჟურნალისტ კეტრინ ჰერიჯთან ინტერვიუში, რომელიც სოციალურ ქსელ X-ში გამოქვეყნდა.**

**„საბოლოო ჯამში, გვინდა თუ არა, რუსეთი არის ძალა, გლობალური ძალა. მათ აქვთ გავლენა სირიაში, ისინი ჩართულნი არიან ახლო აღმოსავლეთში, თუნდაც დასავლეთ ნახევარსფეროში, რა თქმა უნდა, ევროპაში. ჩვენ მათთან უნდა გვქონდეს რაიმე სახის კომუნიკაცია",** – განაცხადა მან.

მისი თქმით, შეერთებულმა შტატებმა, მიუხედავად უთანხმოებისა, უნდა შეინარჩუნოს დიალოგი რუსეთთან.

**„პირველი ნაბიჯი უნდა იყოს მოსკოვში ჩვენი საელჩოს მუშაობის აღდგენა, რომელიც ახლა ძლივს ფუნქციონირებს",** – თქვა რუბიომ.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ დიპლომატიური არხები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ გლობალური საკითხების განსახილველად, არამედ კონკრეტული სიტუაციების მოსაგვარებლად, როგორიცაა უსაფრთხოების საკითხები და დაკავებული ამერიკელების ბედი.

სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ასევე განაცხადა, რომ საუდის არაბეთში გამართულ შეხვედრაზე საუბარი იყო უკრაინაში სამშვიდობო პროცესის პერსპექტივების განხილვაზე და არა შესაძლო შეთანხმების კონკრეტულ პირობებზე.

**„ჩვენ არ გვქონია მოლაპარაკება დეტალებზე, მათ შორის ტერიტორიულ საკითხებზე",** – განმარტა მან.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა განაცხადა, რომ მოლაპარაკებების შემდეგ შეერთებულმა შტატებმა მოსკოვის პოზიციის უკეთ გააზრება დაიწყო, ხოლო პრეზიდენტმა პუტინმა მაღალი შეფასება მისცა მოლაპარაკებებს და აღნიშნა, რომ იგი შედეგიანი იყო.

დასავლეთში და, ცხადია, ჩვენშიც, უმალ გაისმა კრიტიკა ტრამპის ადმინისტრაციის მიმართ რუსეთთან მჭიდრო მოლაპარაკებების გამო. ამას რუსეთის იზოლაციიდან გამოყვანას უწოდებენ და ქართველი ექსპერტები იმასაც აცხადებენ, რომ პრეზიდენტ ტრამპს ვითარება არ ესმის. ასე მაგალითად, გია ხუხაშვილი ოპერატიულად გამოეხმაურა აშშ-ის პრეზიდენტს და განაცხადა: „რაც მოვისმინეთ გუშინ ტრამპისგან, ეს წმინდა რუსული ნარატივია. რიცხვების დონეზეც კი, როდესაც ზელენსკის 4%-იან მხარდაჭერაზე საუბრობდა და დიქტატორად აცხადებდა, ზელენსკი არალეგიტიმურიაო და ა.შ. წმინდა რუსული ნარატივი იყო".

„ევროპული კვლევების ცენტრის" დირექტორმა, „რონდელის ფონდის" მკვლევარმა კახა გოგოლაშვილმა კიდევ უფრო მკვახე შეფასება მისცა ტრამპს: „ამერიკა თავის 250-წლიან რეპუტაციას კარგავს. თუ ის დღეს მსოფლიოში ლიდერია, ეს მისი რეპუტაციის ხარჯზეა. ეს არის




ყველაზე ძველი დემოკრატიის მქონე ქვეყანა მსოფლიოში. უცებ გამოჩნდა პრეზიდენტი, რომელიც ავრცელებს, ასხივებს ავტორიტარიზმს და სხვათა შორის, გარკვეულ წარმატებს აღწევს ამ მიმართულებით. ეს არის ყველაზე ცუდი. კი, „რესპუბლიკელებიც" აკრიტიკებენ უკვე მისი მოქმედებების გამო, სენატში განსაკუთრებით, მაგრამ ეს ძალიან მცირე რაოდენობაა იმასთან შედარებით, რა აღშფოთებაც უნდა მოჰყოლოდა მის ბოლოდროინდელ განცხადებებსა და გადაწყვეტილებებსაც მათ შორის".



თავის მხრივ, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მარკო რუბიო ასე განმარტავს ტრამპის ეგ განცხადებებს ზელენსკის მიმართ: **„ვფიქრობ, რომ პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ძალიან განაწყენებულია პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკიზე და, გარკვეულწილად, სამართლიანად. გულწრფელად რომ გითხრათ, მეც, პირადად, ძალიან განაწყენებული ვარ, რადგან საუბარი მქონდა პრეზიდენტ ზელენსკისთან – ვიცე-პრეზიდენტთან ერთად. ჩვენ განვიხილეთ საკითხი მინერალებზე უფლებების შესახებ და ავუხსენით მათ, ნახეთ, ჩვენ გვინდა ვიყოთ თქვენთან ერთობლივ საწარმოში – არა იმიტომ, რომ თქვენი ქვეყნის მოპარვას ვცდილობთ, არამედ იმიტომ, რომ ვფიქრობთ, რომ ეს რეალურად უსაფრთხოების გარანტიაა. თუ ჩვენ ვიქნებით თქვენი პარტნიორი მნიშვნელოვან ეკონომიკურ წამოწყებაში, ჩვენ მივიღებთ უკან გადასახადის გადამხდელების მიერ გაცემული თანხის – დაახლოებით, 200 მილიარდი დოლარის – ნაწილს და ასევე – ახლა ჩვენ დაინტერესებული ვართ უკრაინის უსაფრთხოებით. მან თქვა, რა თქმა უნდა, ჩვენ გვინდა ამ გარიგების გაკეთება. ორი დღის შემდეგ წავიკითხე, რომ ზელენსკი ამბობს: „მე უარი ვთქვი გარიგებაზე, მე მათ ვუთხარი, ამას არავითარ შემთხვევაში არ გავაკეთებთ". ეს იმ შეხვედრაზე არ მომხდარა",** – აღნიშნა რუბიომ.

ერთი სიტყვით, რუბიო ზელენსკის არაკეთილსინდისიერებას და ტყუილში სდებს ბრალს. როგორც ჩანს, ფარული დასის ქომაგობით გათამამებული ზელენსკი ვერაფრით თმობს იმ პრივილეგირებულ მდგომარეობას, რომელშიც უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში იმყოფებოდნენ.

ის, რაც ზედაპირზე ჩანს, ერთია, მაგრამ რა სამუშაო ტარდება კულისებში, ცალკე თემას წარმოადგენს. კერძოდ, თეთრი სახლის პრესმდივანმა ქეროლაინ ლივიტმა განაცხადა, რომ დონალდ ტრამპი მომავალ კვირაში საფრანგეთის პრეზიდენტს, ემანუელ მაკრონსა და ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს, კირ სტარმერს უმასპინძლებს. მაკრონი დონალდ ტრამპს 24 თებერვალს შეხვდება, ხოლო კირ სტარმერი – 26 თებერვალს. ამასთან, აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი კაბინეტის პირველ სხდომას ოთხშაბათს, 26 თებერვალს გამართავს.

**The New York Times**-ის ამერიკულმა გამოცემამ კი შეიტყო, რომ აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მარკო რუბიო პირადად ცდილობს დაარწმუნოს ევროპელი ქვეყნები, რომლებიც შეშფოთებულნი იყვნენ ამერიკულ მხარესა და რუსეთის ფედერაციას შორის პირდაპირი კონტაქტებით.გამოცემა ეყრდნობა ამერიკის სახელმწიფო მდივნისა და დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიისა და იტალიის ოფიციალურ პირებს შორის სატელეფონო საუბრის შედეგებს.

გამოცემის თანახმად, რუბიო ცდილობს დაარწმუნოს ევროპა, რომ საუდის არაბეთში მოლაპარაკებები არ წარმოადგენს მკვეთრ გადახვევას ამერიკული პოლიტიკიდან, როგორც ბევრს ეშინოდა.

ევროპელ ოფიციალურ პირებთან საუბარში სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, რომ ეს შეხვედრა უფრო მეტად იმის გამოცდა იყო, მზად არის თუ არა კრემლი სერიოზული შეთანხმების მიღწევისთვის.

**ერთი სიტყვით, ვიდრე ქართველი ექსპერტები დომინოს პარტიას უსხედან, აშშ-ის ახალი ადმინისტრაცია ჰენრი კისინჯერისეულ „მაქოსებრ დიპლომატიას" მიმართავს და, სავარაუდოდ, ახალი მსოფლიო წესრიგის კონტურებს ქმნის.**

**P.S.**

**რუსეთთან მოლაპარაკების კვალდაკვალ ინგლისური ყოველკვირეული ჟურნალი ეკონომისტი სკანდალური გარეკანით გამოვიდა, რომელსაც მრავლისმეტყველი სათაური აქვს - „ევროპის უმძიმესი კოშმარი"**

# ღვაწლმოსილი მეცნიერი ვალერიან (ვოვა) ცანავა




**ცნობილი მეცნიერის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, ბატონი ვალერიან (ვოვა) ცანავას წვლილი მეტად მნიშვნელოვანი და დასაფასებელია ქართული მეცნიერების და სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის განვითარებაში.**

ვალერიან ცანავა დაიბადა 1935 წლის 25 თებერვალს ქ. სოხუმში. 1953 წელს დაამთავრა სოხუმის №1 საშუალო სკოლა და ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომელიც 1958 წელს დაამთავრა აგროქიმია-ნიადაგმცოდნეობის სპეციალობით. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი სამუშაოდ გაიგზავნა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (ანასეული). 1961-1964 წლებში ვ. ცანავამ გაიარა ასპირანტურაში სწავლის სრული კურსი სასუქებისა და ინსექტოფუნგიციდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ქ. მოსკოვი) დოლგოპრუდის საცდელ სადგურში პროფესორ ფ. ტურჩინის ხელმძღვანელობით. 1966 წელს მან წარმატებით დაიცვა დისერტაცია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, რის შემდეგ დაუბრუნდა მშობლიურ ინსტიტუტს და იმავე წელს აგროქიმიის განყოფილებაში აირჩიეს უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე. 1972-1988 წლებში ვ. ცანავა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა სამეცნიერო დარგში. 1988 წელს მან ასევე წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „ჩაის მცენარის აზოტოვანი კვების აგროქიმიური საფუძვლები". 1988-1995 წლებში ვ. ცანავა ორი ინსტიტუტის გაერთიანების ბაზაზე შექმნილი ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორის პირველი მოადგილეა, ხოლო 1995 წლიდან 2006 წლამდე ამავე სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი. 2006 წლიდან იგი ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის აგროქიმია-ნიადაგმცოდნეობის ლაბორატორიის ხელმძღვანელია, პარალელურად 2006-2010 წლებში – ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. ვ. ცანავა 1992 წლიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტია, ხოლო 1995 წლიდან – აკადემიის ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი).

ვ. ცანავას მიერ ჩატარებული მრავალწლიანი კვლევებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია:

**– აზოტის მეტაბოლიზმის პროცესის შესწავლა ჩაის მცენარესა და ციტრუსოვან კულტურებში სტაბილური იზოტოპი 15N გამოყენებით;**

**– აზოტოვანი სასუქების გავლენა სუბტროპიკული ნიადაგების აგროქიმიურ მაჩვენებლებზე და ბიოქიმიურ აქტივობაზე;**

**– აზოტის ბალანსის შესწავლა ჩაისა და ციტრუსოვანთა კულტურების მოვლა-მოყვანის აგროცენოზში.**

ვ. ცანავას მიერ ჩატარებულ კვლევებში ფართოდ არის გამოყენებული ინსტიტუტის მრავალწლიანი სტაციონალური ცდები, როგორც საბაზისო კვლევის ობიექტი წითელმიწა ნიადაგებში აზოტის ფრაქციული შესწავლისათვის. ამ კვლევებით მეცნიერულად დასაბუთებულია აზოტის ფონდის ცვლილებები წითელმიწებში აზოტოვანი სასუქების ფორმებისა და ნორმების ხანგრძლივი გამოყენების ფონზე, ასევე სასუქების გავლენა პლანტაციების პროდუქტიულობასა და მზა ჩაის ხარისხზე. დადგენილია, რომ წითელმიწებისა და სუბტროპოკული გაეწერებული ნიადაგების პირობებში ჩაის პლანტაციებიდან მაქსიმალური მოსავლის მიღების ერთ-ერთ ძირითად პირობას ფოსფორიანი სასუქების გამოყენება წარმოადგენს, მათი ფორმების, ვადებისა და პერიოდულობის გათვალისწინებით. დადგენილია აგრეთვე კალიუმიანი სასუქების გამოყენების ეფექტიანობა აზოტით და ფოსფორით ხანგრძლივად განოყიერებულ ასაკოვან პლანტაციაში. მნიშვნელოვანია ვ. ცანავას მონაცემები ჩაის მცენარის ვეგეტაციის პერიოდში ცილოვანი და თავისუფალი ამინომჟავების აზოტის ცვლილების დინამიკის შესახებ, აზოტით უზრუნველყოფისა და დოზებისაგან დამოკიდებულებით. შესწავლილია აგრეთვე აზოტის გაზრდილი დოზების (400-500 კგ/ჰა) უარყოფითი გავლენა თავისუფალი ამინომჟავების, განსაკუთრებით კი შეუცვლელი ამინომჟავების შემცველობაზე და მზა ჩაის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე. მრავალწლიანი და მრავალმხრივი კვლევების შედეგები ასახულია ჩაისა და ციტრუსოვნების მოვლა-მოყვანის პრაქტიკულ რეკომენდაციებსა და აგროწესებში, კერძოდ, აზოტოვანი სასუქების ფორმების შედარებითი შეფასება, ნიადაგში მათი შესატანი დოზები და ფორმები.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. ცანავა 215 სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, მათ შორის, 3 მონოგრაფიის, 1 სახელმძღვანელოს, 1 პრაქტიკული სახელმძღვანელოს, 6 გამოგონების და პატენტის. განსაკუთრებით აღსანიშნავია მონოგრაფიები: „ჩაის მცენარის აზოტით კვების აგროქიმიური საფუძვლები" (1985 წ.) და თანაავტორობით (მ. დარასელია, ი. ვორონცოვი, ვ. გვასალია) გამოცემული „საბჭოთა კავშირის მეჩაიეობა" (1988 წ).**

მონოგრაფიაში „ჩაის მცენარის აზოტით კვების აგროქიმიური საფუძვლები" თავმოყრილია მრავალწლიანი კვლევების შედეგები ჩაის პლანტაციების ნიადაგების აზოტის ფონდის შესახებ. სტაბილური აზოტის 15N მეთოდის გამოყენებით დეტალურად არის შესწავლილი შეტანილი აზოტის ბალანსის სტრუქტურა და დადგენილია სასუქის აზოტის გავლენა ნიადაგის და მოძრავ აზოტზე, ასევე ჩაის ბუჩქის ცალკეული ნაწილების საერთო აზოტში მინერალური სასუქების ხვედრითი წილი. ვალერიან ცანავას მიერ დასაბუთებულია მცენარის აზოტით კვების პრობლემის თითქმის ყველა ასპექტი საქართველოს ჩაის პლანტაციების მაგალითზე. კერძოდ, აზოტოვანი სასუქების ფორმებისა და ნორმების გავლენა ჩაის პლანტაციების მოსავლიანობაზე, ნიადაგის აგროქიმიურ თვისებებზე, ნიადაგური აზოტის ფრაქციულ შედგენილობაზე და აზოტის გარდაქმნაზე წითელმიწა ნიადაგებში ჩაის კულტურის ქვეშ და სხვ. მან ცალკე კვლევები მიუძღვნა აზოტის შეთვისებასა და გარდაქმნას ჩაის მცენარეში, ასევე აზოტოვანი სასუქების მოქმედებას ჩაის ბიოქიმიურ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, აზოტოვანი ნივთიერებების შემცველობის დინამიკაზე ჩაის მცენარეში. მონოგრაფიაში გამახვილებულია ყურადღება ჩაის პლანტაციებში აზოტის ბალანსზე და მცენარის მიერ სასუქების აზოტის გამოყენებაზე, კერძოდ, აზოტის ჩართვაზე ნიადაგის აზოტის სხვადასხვა ფრაქციაში და მის გამორეცხვაზე აზოტოვანი სასუქების ფორმებთან დამოკიდებულებაში.

დიდია ვალერიან ცანავას წვლილი სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში. მისი ხელმძღვანელობით მომზადებული და დაცულია ორი ათეული საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

ამაგდარი მეცნიერი წარმატებით აგრძელებს სამეცნიერო საქმიანობას ნიადაგის ნაყოფიერების დონის შესწავლისა და განოყიერების დიფერენცირებული სისტემის შემუშავებისათვის. მნიშვნელოვანია ბოლო წლებში კოლეგებთან ერთად შესრულებული სამუშაოები სასოფლო-სამეურნეო კულტურების ქვეშ ახალი სახის კომპლექსური სასუქების გამოყენების ეფექტიანობის შესწავლისა და კვლევის შედეგების საცდელი დანერგვის მიმართულებით.

**ვალერიან ცანავას კარგად იცნობენ როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. იგი არაერთგზის იმყოფებოდა სამეცნიერო მივლინებებში – ვიეტნამში, ლაოსში, კუბაში, ინდოეთში და ჩინეთში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მოვლა-მოყვანის მეცნიერული მიღწევების გაზიარების მიზნით.**

ვალერიან ცანავა არის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის და სამეცნიერო ჟურნალ „მოამბის" სარედაქციო საბჭოს წევრი. მისი მონაწილეობით შემუშავებულია არაერთი საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო პროგრამები და პროექტები.

გაწეული ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობისათვის ვალერიან ცანავა დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშისა და ღირსების ორდენებით. ბატონი ვალერიანი გახლავთ ოზურგეთის საპატიო მოქალაქე.

**ბატონო ვალერიან,**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გილოცავთ თქვენ, ღირსეულ მამულიშვილს, აღიარებულ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, შესანიშნავ მამასა და ბაბუას დაბადების 90 და სამეცნიერო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 60 წელს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, მხნეობას, სიხარულსა და მრავალ წარმატებას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ!**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია**

# მიხაი ზიჩის სახელობის ჯილდო ქართველ ხელოვანებს

**უნგრელი მხატვრის მიხაი ზიჩის სახელობის ჯილდოს გადაცემის ცერემონია და მისი ნამუშევრების ასლების გამოფენა ზუგდიდში, უფლისწულ ნიკო დადიანის სასახლეში გაიმართა.**

ინფორმაციას სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ავრცელებს.

ღონისძიებას სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული **დავით ვერავა**, უნგრეთის ელჩი **ანა მარია შიკო** და ზუგდიდის მერი **მამუკა წოწერია** მოწვეულ პირებთან ერთად დაესწრნენ.



მიხაი ზიჩის ჯილდო 5 წლის წინ უნგრეთის საელჩომ დააარსა. ჯილდო ყოველწლიურად გადაეცემა ხელოვნებისა და კულტურის სფეროს წარმომადგენლებს, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ კულტურული ურთიერთობების გაღრმავებასა და ხელოვნების განვითარებაში. წელს უნგრეთის საელჩოს ინიციატივით, გამოფენა პირველად ჩატარდა დადიანების სასახლეთა კომპლექსში.

გამოფენის ფარგლებში, დამთვალიერებლებს საშუალება ჰქონდათ, ენახათ უნგრეთის საელჩოს მიერ მოწოდებული მიხაი ზიჩის ილუსტრაციების ასლები, 1888 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსანი", სადაც ზიჩის ილუსტრაციებია შესული.

ასევე, გამოფენილი იყო ზიჩის ჯილდოს მფლობელების – მხატვრების ზურაბ გაბულიასა და ლია შველიძის ნამუშევრები. მათ ჯილდო გადაეცათ გამორჩეული შემოქმედებითი მოღვაწეობისა და ხელოვნებაში შეტანილი წვლილის აღსანიშნავად.

უნგრელმა მხატვარმა მიხაი ზიჩმა „ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციები შექმნა. მას 1884 წელს „ვეფხისტყაოსნის" იონა მეუნარგიასეული ფრანგული თარგმანი გაუგზავნეს, რის მიხედვითაც მხატვარმა უნიკალური ილუსტრაციები შექმნა. შეკვეთილი თორმეტი ნახატის ნაცვლად მიხაი ზიჩიმ ოცდათოთხმეტი ნახატის ესკიზი შექმნა, საიდანაც ოცდაექვსი შეირჩა წიგნისთვის. შემდეგ მათ დაემატა კიდევ ერთი ფერადი ნახატი, რომელზეც გამოხატულია, როგორ მიართმევს შოთა რუსთაველი თამარ მეფეს „ვეფხისტყაოსანს".



# აკაკი ხორავას სენსაციური ჩანაწერები

**მე დამშვიდებული ვარ, რადგან ჩემი სინდისი წმინდაა ჩემი ხალხის წინაშე. დრო ისეთია, რომ მტრობა, პროვოკაცია, დემაგოგია, პოპულიზმი დიდხანს ვერ იზოგინებს. ის მალე გამოაშკარავდება, რადგან დრო მართალი კაცის ქომაგია.**

**არამზადა რუხაძის პარპაშის დროს დააპატიმრეს ჩემი მკვიდრი ბიძაშვილი დავით შურღაია, რომელიც მსახურობდა იურიდიული ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სასწავლო ნაწილის გამგედ, დააპატიმრეს იმიტომ, რომ თითქოს ინსტიტუტში რაღაც ბოროტმოქმედებანი იყო ჩადენილი მისი და ინსტიტუტის დირექტორის — მირიანაშვილის მიერ. ცხადია, მეცა და შურღაიას ოჯახიც ძალზე შეწუხებულნი ვიყავით. ჩვენ მის უდანაშაულობაში ვიყავით დარწმუნებულნი (ბოლოს აკი რეაბილიტირებულ იქნა!). რაღაც უნდა გვეღონა. გადავწყვიტე, მიმემართა რუხაძისათვის, რომ ჩემი ერთადერთი, ძმასავით ახლობელი და ნათესავი უმართებულოდ არ დაეღუპათ.**

რუხაძეს ვიცნობდი სსრკ დეპუტატად ყოფნის დროიდან — ისიც დეპუტატი იყო. მივედი და ვუთხარი, რომ თვითონ გამოერკვია შურღაიას საქმე და, თუ დამნაშავე აღმოჩნდებოდა, დაესაჯა, თუ არადა, გამოეშვა. დამპირდა. არ ვიცოდი, თუ შენი ნათესავი იყოო, დღესვე გამოვითხოვ მის საქმეს და თვითონ გავარჩევო. დამამშვიდა და მითხრა, რომ შურღაიას ოჯახიც დამემშვიდებინა. მეც, დაიმედებულმა, მადლობა გადავუხადე.

გავიდა რამოდენიმე ხანი და ციხიდან მივიღე (არ ვიცი, როგორ მოახერხა გადმოგზავნა) ბარათი შურღაიასაგან, სადაც მწერდა, რომ ფრთხილად ვყოფილიყავი რუხაძესთან. რომ რუხაძეს უნდა, მას ხელი მოაწერინოს განცხადებაზე, სადაც ნათქვამია, რომ მე ვარ ტერორისტი, უცხო ქვეყნის აგენტი და სხვა ამგვარი ბოდვები. რასაკვირველია, შურღაიას ამ პროვოკაციულ ცილისწამებაზე ხელი არ მოუწერია, რის გამოც უმოწყალოდ სცემდნენ და აწამებდნენ. კაცი იქამდე მიიყვანეს, რომ ციხეშივე გარდაიცვალა. ყველამ კარგად ვიცოდით რუხაძის მტრული დამოკიდებულება მეგრელიძის მიმართ, მაგრამ რა ვიცოდი, თუ ის პირში უცინოდა ადამიანს და ზურგს უკან კი სამარეს უთხრიდა. (ასეთი ბუნება გამოაშკარავდა უმაღლესი სასამართლოს მიერ მისი და მისივე დამქაშების გასამართლების დროს). ყოველ შემთხვევაში, მაშინ გავიგე თუ რა პროვოკატორი, როგორი გაიძვერა, უღირსი, მავნე ადამიანი ყოფილა იგი!

საინტერესოა ერთი ფაქტიც: დაპატიმრებული იყო რეჟისორი კუკური პატარიძე, რომელსაც, აგრეთვე, მოთხოვეს, ხელი მოეწერა ჩემს წინააღმდეგ ჩვენებაზე, სადაც ნახსენები ვიყავი, როგორც ტერორისტი და დივერსანტი. პატარიძე აღმოჩნდა მტკიცე ნების ადამიანი და საბრალომ ჩემს გამო ბევრი ცემა გადაიტანა, სიცრუესა და შეთითხნილ ბრალდებას ჩემს მიმართ ხელი არ მოაწერა. ეს ამბავი თავად პატარიძისგან ვიცი.

დღესაც არ მესმის, ვინ ან სად იყო ის ვიღაცა, ვინაც ასე დაინტერესებული იყო ჩემს განადგურებაში. მე გულწრფელად ვემსახურებოდი ჩემს ხალხს და ის ვიღაცები ჩემს ზურგსუკან პროვოკაციულ ქსელებს აბამდნენ ჩემს დასაღუპავად. ახირებული მდგომარეობა შეიქმნა ჩემს ირგვლივ: რადიოთი ემიგრანტები მლანძღავდნენ, რომ მე მივეყიდე ბოლშევიკებს, ხოლო საქართველოს ჩეკა ეძებდა მასალებს, რომ მე ტერორისტი ვიყავი. რა ბედმა გადამარჩინა განადგურებას, დღესაც არ ვიცი. რატომ, რისთვის ჩემს ირგვლივ ასეთი პროვოკაცები. **მე ვიყავი ახალი ქართული თეატრისათვის მებრძოლთა რიგებში, მთელი ჩემი შესაძლებლობით ვემსახურებოდი ქართული თეატრის დიდებას. სჩანს, მტერი მყოლია და დღესაც მყავს. ყველამ თავისი სიმართლით იაროს ამ ქვეყანაზე. მე დამშვიდებული ვარ, რადგან ჩემი სინდისი წმინდაა ჩემი ხალხის წინაშე. დრო ისეთია, რომ მტრობა, პროვოკაცია, დემაგოგია, პოპულიზმი დიდხანს ვერ იზოგინებს. ის მალე გამოაშკარავდება, რადგან დრო მართალი კაცის ქომაგია.** სწორედ დრომ ბევრი ადამიანი, რომელნიც სთხზავდნენ ჩემს წინააღმდეგ ყოველგვარ ჭორებს, გამოააშკარავა და მათ მიიღეს საზღაურიც. მაგრამ ამ ჭრილობებს გაძლება არ უნდა? ადამიანის ნერვები ხომ რკინისა არ არის.



**მაშინ გავიგე თუ რა პროვოკატორი, როგორი გაიძვერა, უღირსი, მავნე ადამიანი ყოფილა ნიკოლოზ რუხაძე.**



**პლატონ კორიშელი: მე მინდა, შევქმნა ჯგუფი ახალგაზრდებისა და ვიბრძოლო ძველებისა და ახლების წინააღმდეგ. ამიტომ გაძლევ წინადადებას, შემოხვიდე ჩემს ჯგუფში და არ წააგებ.**

*

**1923 წლის** სეზონია... ახალი მოსული ვარ თეატრში. საშინელი მდგომარეობაა კოლექტივში. როგორც იტყვიან, იმდენი დაჯგუფება იყო თეატრში, რამდენიც კაცი. ყველა ერთმანეთს ებრძოდა. ყველა თავის თავზე ფიქრობდა, კარიერისათვის იბრძოდა. მე კიდევ, ახალი კაცი მსახიობთა წრეში, გაოცებული ვიყავი ამ მდგომარეობით. მწყინდა, რომ ჩემთვის სათაყვანო მსახიობები, რომელთა შესახებ დიდი წარმოდგენა მქონდა არამარტო როგორც მსახიობებზე, არამედ როგორც მოქალაქეებზე, არასერიოზული, წვრილმანი ხალხი გამოდგა. მსახიობების მსჯელობა ქართული თეატრის ბედ-იღბალზე, ქართულ კულტურაზე, ისტორიაზე მხოლოდ ცარიელი სიტყვები აღმოჩნდა. სიტყვებს უკან კი იმალებოდა ინტრიგანობა, შური, პირადი ინტერესი და სხვა ამგვარი — პირში ერთმანეთის ქება, ზურგს უკან კი ლანძღვა და გაკილვა. ჩემთვის ყოველივე ეს უცხო იყო და თითქმის გადავწყვიტე, გავქცეოდი მსახიობთა წრეს და დავბრუნებოდი ისევ საექიმო ფაკულტეტს. ეს გადაწყვეტილება უფრო განმტკიცდა ჩემში ერთი ფაქტის გამო: მსახიობმა პლატონ კორიშელმა, რომელიც მაინცადამაინც არ გამოირჩეოდა დიდის ნიჭიერებით, გამომიძახა და წინადადება მომცა, ერთად გვესადილა. მეც მივიღე წინადადება და წავედი. მივედით რესტორანში, მოითხოვა საჭმელი. მე მას არ ვიცნობდი, არც არანაირი სიახლოვე მაკავშირებდა მასთან. მიკვირდა — რად დასჭირდა ჩემი დაპატიჟება-მეთქი. შევყევით ლაპარაკს და მან მითხრა: — ხომ ხედავ, თეატრი დაღუპვის გზაზე დგას, რამდენი დაჯგუფებაა თეატრში, ვინ მოსთვლის. არც ძველები და არც ახალგაზრდები არ არიან პატიოსნები. შენ მაგათ არ ენდო. შენ გეტყობა, ნიჭიერი და ამავ დროს, მაგარი, ჭკვიანი ბიჭი ხარ. მე მინდა, შევქმნა ჯგუფი ახალგაზრდებისა და ვიბრძოლო ძველებისა და ახლების წინააღმდეგ. ამიტომ გაძლევ წინადადებას, შემოხვიდე ჩემს ჯგუფში და არ წააგებ. მე გული მომივიდა, მაგრამ შეურაცხყოფა არ ვკადრე, მხოლოდ ვუთხარი: მე თეატრში მოვედი, არა ჯგუფებში მონაწილეობის მისაღებად, კოლექტივში არევ-დარევის შესატანად. გადავიხადე დანახარჯი და უსიტყვოდ გარეთ გამოველ. ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი ატმოსფერო სუფევდა თეატრში, როცა კორიშელიც კი აპირებდა დაჯგუფების შექმნას. მითუმეტეს, მაშინ, როდესაც კოტე მარჯანიშვილი დათანხმდა ქართული თეატრის მეთაურობას და საჭირო იყო ამ დიდი ხელოვანის ირგვლივ თავის მოყრა.

უკვე ოთხი ათეული წელია, ვმუშაობ თეატრში და ჯგუფი არასდროს მყოლია და არც რომელიმე ჯგუფში ვყოფილვარ. ჯგუფი ჩემთვის იყო მთელი კოლექტივი.

ძველი თეატრის გადმონაშთია ის აზრი, რომ დირექტორს თუ ხელმძღვანელს აუცილებლად თავისი ჯგუფი უნდა ჰყავდეს თეატრში, რომელიც ყველაფერში მას მხარს უჭერს. ასეთი აზრისანი არიან დღევანდელი მოდირექტორო ხალხი. ეს აღრევს თეატრის კოლექტივს, მის მთლიანობას, აღვივებს ერთმანეთს შორის ეჭვიანობას, რყვნის მსახიობის მოქალაქეობრივ და შემოქმედებით ეთიკას. კოლექტივში არაფერი არ უნდა იყოს დამალული. დიდი თუ პატარა მსახიობი, ყოველი მუშაკი, ეს იქნება ტექნიკური პერსონალიდან თუ ადმინისტრაციიდან, უნდა გრძნობდეს, რომ ის თეატრის ბატონ-პატრონია და პასუხისმგებელი თეატრის მუშაობაზე და ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მთელი კოლექტივი შეკრულია იდეური და

**ძველი თეატრის გადმონაშთია ის აზრი, რომ დირექტორს თუ ხელმძღვანელს აუცილებლად თავისი ჯგუფი უნდა ჰყავდეს თეატრში, რომელიც ყველაფერში მას მხარს უჭერს. ასეთი აზრისანი არიან დღევანდელი მოდირექტორო ხალხი. ეს აღრევს თეატრის კოლექტივს, მის მთლიანობას, აღვივებს ერთმანეთს შორის ეჭვიანობას, რყვნის მსახიობის მოქალაქეობრივ და შემოქმედებით ეთიკას. კოლექტივში არაფერი არ უნდა იყოს დამალული.**

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ“ N24, 25.

შემოქმედებითი პრინციპებით. კოლექტივი უნდა იბრძოდეს მთლიანობისათვის, უკომპრომისოდ უნდა განდევნოს თავისი წრიდან ყველა, ვინც თავისი თავის მეტს არავის ხედავს თეატრში, შეპყრობილია განდიდების მანიით და არ სურს, კოლექტივის ნებას დაემორჩილოს.

*

**ჩემი** თეატრის დირექტორად ყოფნის დროს აკაკი ვასაძე მთავარი რეჟისორი იყო, კარგად შეთანხმებულად ვმუშაობდით, მაგრამ ზოგიერთი საკითხის გარჩევისას, ჩვენი აზრის სხვადასხვაობის გამო, მსჯელობა მწვავე ხასიათს ღებულობდა, თუმცა, შემეძლო, თეატრის დირექტორის უფლებებით მესარგებლა და ჩემი აზრი გამეტარებინა, მაგრამ ამას არ ვაკეთებდი — წავიყვანდი ვასაძეს რაიკომის მდივანთან (გოგიშვილი), ვეტყოდი, რითი ვიყავი უკმაყოფილო. ვასაძეც თავისას იტყოდა. როგორც მდივანი გვირჩევდა ან მიგვითითებდა, ისე ვიქცეოდით.

*

**შეიძლება, ჩემი დირექტორობის დროს, ხანდისხან, უხეშობას ვიჩენდი დამნაშავის (გრიმის არგაკეთება, მსახიობური ამპარტავნობა, ანტიმორალური საქციელი, ახალგაზრდების დაჩაგვრა, ძველგაზრდებისადმი უდიერი მოპყრობა, კუთხე-კუთხე ლაპარაკი, სურვილი ჯგუფების შექმნისა, როლზე უარის თქმა, თეატრის შინაგანაწესის დარღვევა და სხვა ამგვარი) მიმართ, დამისჯია კიდეც, მაგრამ არასოდეს ყოფილა შემთხვევა, რომ კაცი გამეფუჭებინოს, პირიქით, თეატრის გარეშე, ყოფილა, მუშაკს ვიცავდი და ვცდილობდი, ამხანაგებს არ დაეჩაგრათ.**

თეატრის ნორმალური მუშაობისათვის საჭიროა, დაცულ იქნას რამდენიმე დებულება, რაც თეატრის არსებობისათვის აქსიომას წარმოადგენს: ზუსტი შემოქმედებითი დისციპლინა, უმრავლესობისადმი უმცირესობის დამორჩილება, კოლეგიალობა, ერთმანეთის პატივისცემა, ყოველგვარი ეგოისტური და კარიერისტული მიდრეკილების წინააღმდეგ ბრძოლა, მაღალი ეთიურობა და წმინდა მორალური სახე, მკვეთრი იდეური მიმართება თეატრის საქმიანობისა. იქ, სადაც ეს აქსიომები დაირღვევა, თეატრი ვერ შეძლებს დაკისრებულ ამოცანათა შესრულებას.

არასოდეს ყოფილა შემთხვევა, ჩემს გამოსვლებში თუ სტატიებში ჩემ თავზე მელაპარაკნა. პირიქით, ვცდილობდი,



**სანდრო ახმეტელი, სანდრო შანშიაშვილი, კოტე მარჯანიშვილი, დავით ჩხეიძე**

ძველგაზრდები თუ ახალგაზრდები კარგად მეხსენებინა და მათი მუშაობისა თუ ნიჭისათვის მაღალი შეფასება მიმეცა. კარგად ვიცოდი, რომ დადგებოდა დრო ძველი თაობის შეცვლისა და ვცდილობდი, თეატრში მიმეღო ინსტიტუტიდან ნიჭიერი ახალგაზრდობა. თეატრში ჩემ მიერ არის მიღებული: ე. მანჯგალაძე, ნ. ჩხეიძე, მ. ჩახავა, ი. ჯინჯიხაძე, რ. ჩხიკვაძე, ზ. კვერენჩხილაძე, ს. ყანჩელი (პირველად), გ. კობახიძე, გ. გეგეჭკორი, მ. გეგეჭკორი, ა. დვალიშვილი, მ. თუმანიშვილი (სამწუხაროდ), ი. ტყავაძე, ნ. მგალობლიშვილი, თ. თეთრაძე, კ. საკანდელიძე, ს. იანელი, ლ. აბაშიძე, ნ. ფალიაშვილი, მ. მიქელაძე, მ. ურუშაძე, ვ. ვაჩნაძე, კ. მახარაძე, გივი ძნელაძე და მრავალი სხვა. არავის ვაძლევდი უფლებას, ახალგაზრდობა დაეჩაგრათ, ამიტომაც ძველგაზრდები ჩემზე გამწყრალნი იყვნენ. მე მოვიყვანე თეატრში მხატვარი ლაპიაშვილი, კრიტიკოსი ვ. კიკნაძე, გ. ნიკოლაიშვილი და სხვა. ყოველგვარად ვცდილობდი, გამეზარდა ეს

**მე გულისყურით ვაკვირდებოდი თაობათა ურთიერთობას და ვალწევდი კიდევაც მათ შორის ნორმალურ დამოკიდებულებას, დასის მთლიანობას. საკმარისი იყო, დროებით სადმე წავსულიყავი, რომ დაბრუნებისას დასი არეული დამხვედროდა. მეც ვიწყებდი თავიდან თაობათა შერიგებას.**

ახალგაზრდობა, როგორც ღირსეული ცვლა ჩვენი თაობისა თეატრში.

ჯერ კიდევ ინსტიტუტში მათი ყოფნის დროს ვიშუამდგომლე ხელმძღვანელობის წინაშე კომკავშირული თეატრის დაარსების შესახებ, მაგრამ მითხრეს, რომ ახლა ომია და არ არის ამის დრო, ომი რომ დამთავრდება, მაშინ დასვით ეს საკითხი, მანამ კი ნიჭიერ ახალგაზრდებს რუსთაველის თეატრში მოუყარეთ თავიო. მეც აგრე მოვიქეცი. ყოველი ახალგაზრდა ყოველმხრივ მყავდა შემოწმებული და ვღებულობდი თეატრში მხოლოდ ღირსეულთ. როდესაც მე უცხოეთში გავემგზავრებოდი ხოლმე ჩემი მოვალეობის შემსრულებლად, ვასაძე რჩებოდა. მის მიერ იყვნენ მიღებულნი ბუხ. ზაქარიაძე, ვლა. დოლიძე, ა. აფხაიძე, შ. თოიძე, თ. თარხნიშვილი, მსახიობი კიკნაძე და სხვ. რომელთა უმრავლესობას მე უთუოდ არ მივიღებდი კოლექტივში, რადგან მათი მორალური და ეთიური სახე მიუღებელი იყო საბჭოთა თეატრისათვის (ინტრიგანები, ლაქუცები, ქვეშ-ქვეშები, ჭორიკნები და სხვა).

რასაკვირველია, ვასაძის მიერ მიღებული მსახიობები ჩემით იყვნენ უკმაყოფილონი, რადგან მე ახალგაზრდობას ვექომაგებოდი. თეატრში იყვნენ ბევრნი, რომლებიც თვლიდნენ თავიანთ თავს ვასაძის გამოზრდილებად. ასეთები იყვნენ ჩიხლაძე, ხუციშვილი, ლაფაჩი, თ. ბაქრაძე, ასიტაშვილი და სხვა საშუალო თაობის წარმომადგენლები. ამ სამ თაობას შორის იყო ჩემი უკმაყოფილებანი. ვასაძე თითქოს მხარს უჭერდა ახალგაზრდობას ჩემი თანდასწრებით, მაგრამ ჩემ გარეშე ამტკიცებდა, რომ ახალგაზრდობის გარეშე მე თეატრში სხვა არავინა მწამს და სხვა ამგვარი.

მე გულისყურით ვაკვირდებოდი თაობათა ურთიერთობას და ვაღწევდი კიდევაც მათ შორის ნორმალურ დამოკიდებულებას, დასის მთლიანობას. საკმარისი იყო, დროებით სადმე წავსულიყავი, რომ დაბრუნებისას დასი არეული დამხვედროდა. მეც ვიწყებდი თავიდან თაობათა შერიგებას.

რადგან დასში ბევრი პროფესიონალურად გამოუსადეგარი გვყავდა, ნელ-ნელა მინდოდა მათი მოშორება, რომ მათი ადგილი ახალგაზრდობით შემევსო. მურღულიას დირექტორად ყოფნის დროს (მაშინ მე პარტორგანიზაციის მდივანი ვიყავი) დასი შეამოკლეს 14 მსახიობით, მე ამის შესახებ არა ვიცოდი-რა — შეამოკლეს ვასაძემ და მურღულიამ ჩემ დაუკითხავად. ზოგიერთის შემოკლებას მე არავითარ შემთხვევაში არ დავეთანხმებოდი. მაგ. ნ. ჩხეიძის, ი. ტუსკიასი, ა. კუპრაშვილის, გ. წულაძის და ზოგი სხვებისაც, მაგრამ ცეკაში შესამოკლებელ ხალხის განხილვის დროს მე ფაქტის წინაშე დავდექი და ჩემი არდათანხმება ოფიციალურად განვუცხადე მდივანს. ბოლოს მე გამოვედი დამნაშავე და ყველა შემოკლებულები მე მლანძღავდნენ, ხოლო შემმოკლებლები კი, ვითომ უდანაშაულონი იყვნენ ამ საქმეში.

საინტერესოა კიდევ ერთი ფაქტი: როდესაც ტფილისში ვიყავ, თეატრი ასრულებდა ფინანსურ გეგმას და, როდესაც მივლინებიდან დავბრუნდებოდი, თეატრი ვალში იყო ჩავარდნილი.

შთაბეჭდილება მექმნებოდა, თითქოს ვიღაც განზრახ ურევდა საქმეს, რომ ბოლოს მე დამბრალებოდა. მე ვცდილობდი, თეატრში გამეგრძელებინა ის მოწინავე ტრადიციები, რაც მარჯანიშვილისა და ახმეტელის მიერ იყო დამკვიდრებული, მაგრამ ამ ჩემს ხაზს თეატრში ეწინააღმდეგებოდნენ თეატრის დანარჩენი ხელმძღვანელები. დარწმუნებული ვიყავი, რომ ზოგიერთ უფროსთაობელთან ერთად ახალგაზრდობას ესმოდა ჩემი მიზანი და მიჭერდა მხარს.



**მ. ლორთქიფანიძე, უ. ჩხეიძე, ა. ხორავა, დ. ანთაძე.**

**გაგრძელება იქნება**

# ხოჯალის გენოციდიდან 33 წელი გავიდა!




**ხოჯალის გენოციდი არის უსასტიკესი აქტი კაცობრიობის ისტორიაში აზერბაიჯანელი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი დასჯის არაადამიანური მეთოდებით. ეს გენოციდი ასევე არის ისტორიული დანაშაული მთელი კაცობრიობის წინააღმდეგ.**

**ჰეიდარ ალიევი**

**ხოჯალის ტრაგედია გენოციდისა და ეთნიკური წმენდის პოლიტიკის სისხლიანი ფურცელი იყო, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში სომეხი ნაციონალისტები თურქი და აზერბაიჯანელი ხალხის წინააღმდეგ ახორციელებდნენ.**

**ილჰამ ალიევი**
**აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი**

**ხოჯალის** ტრაგედია ისტორიაში კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი გენოციდის ყველაზე საშინელი აქტია. ის სამუდამოდ დარჩება ხალხთა მეხსიერებაში, როგორც ყველა დროის ყველაზე სისხლიანი ფურცელი. საუბარია უდანაშაულო ადამიანების წამების წარმოუდგენელ სისასტიკეზე, ადამიანურ ტრაგედიაზე, რომელიც ვერც კი შეედრება ხატინის, ლიდისისა და ორადურის გენოციდებს.



**2023 წლის 15 ოქტომბერს აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ქალაქ ხოჯალიში აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეროვნული დროშა აღმართა.**

**1992 წლის 25-26 თებერვლის ღამეს სომხური სამხედრო ნაწილები ყოფილი სსრკ არმიის 366-ე მოტომსროლელი პოლკის დახმარებით ქალაქ ხოჯალის თავს დაესხნენ.**

ქალაქის 2500 მცხოვრები აღდამის მიმართულებით გაიქცა. სომხებმა მშვიდობიანი მოსახლეობა დახვრიტეს.

სომეხი აგრესორების მიერ აზერბაიჯანელი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი მორიგი ხოცვა-ჟლეტა 613 ადამიანის, მათ შორის 106 ქალის, 63 ბავშვისა და 70 მოხუცის სიცოცხლის მოსპობით დასრულდა. 1275 მშვიდობიანი მოქალაქე ტყვედ ჩავარდა, მათგან 150-ის ბედი დღესაც უცნობია. 475 ადამიანი დაინვალიდდა. რვა ოჯახი მთლიანად განადგურდა. 25-მა ბავშვმა ორივე მშობელი დაკარგა, 130-მა კი ერთ-ერთი მშობელი.

ხოჯალის ხოცვა-ჟლეტა სომხეთის მიერ აზერბაიჯანის წინააღმდეგ დაგეგმილი ეთნიკური წმენდისა და აგრესიის პოლიტიკის ნაწილი იყო. გენოციდზე პასუხისმგებელი სომხეთის მაშინდელი პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობაა.

სომხეთის მიერ აზერბაიჯანელების წინააღმდეგ ჩადენილი ხოჯალის გენოციდისა და სამხედრო აგრესიის შედეგად, რომელსაც თან ახლდა ბაღან აირიმის, გარადაგლის, აღდაბანისა და ბაშლიბელის ხოცვა-ჟლეტა, აზერბაიჯანული მიწების 20 პროცენტი ოკუპირებული იყო. 20 ათასი მოქალაქე დაიღუპა. 50 ათასზე მეტი ადამიანი დაშავდა და დაინვალიდდა. აზერბაიჯანი დიდი ჰუმანიტარული კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა.

1994 წელს, მაშინდელი პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის ინიციატივით, მილი მეჯლისმა სპეციალური რეზოლუცია მიიღო – „26 თებერვალი – ხოჯალის გენოციდის დღე". დოკუმენტში დეტალურადაა განმარტებული მომხდარის მიზეზები და შედეგები.

ბაქოს ხათაის რაიონში ხოჯალის გენოციდის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი „ანა ჰარაი" („დედის გოდება") დაიდგა.

ჰეიდარ ალიევის ფონდი ხოჯალის გენოციდის შესახებ ფაქტების მსოფლიოსათვის მიწოდების მიზნით სისტემატურად და თანმიმდევრულად მუშაობს. გენოციდთან დაკავშირებული სპეციალური პროექტის ფარგლებში ფონდის მხარდაჭერითა და ორგანიზებით მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში აქციები, გამოფენები, ღონისძიებათა სერიები იმართება.

ფონდის ვიცე-პრეზიდენტის, ისლამური კონფერენციის ახალგაზრდული ფორუმის კულტურათაშორისი დიალოგის მთავარი კოორდინატორის ლეილა ალიევას ინიციატივით გამოცხადებული კამპანია „სამართლიანობა ხოჯალის"! ეფექტურობა წლიდან წლამდე იზრდება.

2020 წლის 27 სექტემბერს დაწყებული და 10 ნოემბრამდე გაგრძელებულ აზერბაიჯანის სამამულო ომში, ჩვენმა არმიამ სომხეთის შეიარაღებული ძალები დაამარცხა და გამარჯვება მოიპოვა. აზერბაიჯანელმა სამხედროებმა ბრძოლის ველზე ხოჯალის გენოციდის შური იძიეს.

სომხეთის პროვოკაციებისა და სამხედრო აგრესიის საპასუხოდ, 2020 წლის 27 სექტემბერს აზერბაიჯანელი ხალხი სამამულო ომში თავისი უძველესი მიწების ოკუპაციისგან გასათავისუფლებლად, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებისა და ისტორიული სამართლიანობის აღსადგენად გაერთიანდა.

სამამულო ომის დროს სომხეთის მიერ განჯაზე, ბარდაზე და ქვეყნის სხვა ქალაქებსა და სოფლებზე მასობრივი განადგურების უნარის მქონე ბალისტიკური და რეაქტიული რაკეტებით და კასეტური ბომბებით დამიზნებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ბრძოლის მეთოდები დროთა განმავლობაში შეიცვალა, თუმცა სისხლიანი დანაშაულები მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ სომხური მხარის სახელმწიფო პოლიტიკის არსია. 44-დღიანი ბრძოლის შედეგად მამაცმა აზერბაიჯანულმა არმიამ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა და სამშობლო ოკუპანტებისგან გაათავისუფლა.

გასული წლების განმავლობაში ჩატარდა მრავალი ღონისძიება, რათა აზერბაიჯანს მსოფლიოსთვის ხოჯალის გენოციდის სიმართლე საერთაშორისო დონეზე ეცნობებინა. 2008 წლიდან ეს აქტივობა საერთაშორისო კამპანიით „სამართლიანობა ხოჯალისთვის" გაფართოვდა. ამჟამად, ხოჯალის გენოციდი არაერთმა ქვეყანამ აღიარა და ტრაგედიას საერთაშორისო პოლიტიკური შეფასება მიეცა.

ხოჯალის გენოციდი იურიდიულად უნდა შეფასდეს და ვინც ეს საშინელი ტრაგედია ჩაიდინა სასტიკად უნდა დაისაჯონ.

აზერბაიჯანელი ხალხი არასოდეს დაივიწყებს ამ ტრაგედიას.



**რაფიგ ბახშალიევი,**
**პროფესორი**

## დიუშენის კუნთოვანი დისტროფიის მქონე ბავშვებს შშმ პირთა სტატუსი ამ დიაგნოზის დასმისთანავე მიენიჭებათ!

**ჯანდაცვის** სამინისტროს უწყების ცნობით, გადაწყვეტილება, აღნიშნული სინდრომის მქონე ბავშვების მშობლებთან, ექსპერტებთან და ექიმებთან აქტიური კომუნიკაციის შედეგად მიიღო.

„შესაბამისად, სახელმწიფო მხარდაჭერის საჭიროების მქონე ბავშვები უზრუნველყოფილი იქნებიან შშმ სტატუსის მქონე პირთათვის განკუთვნილი სერვისებითა და შეღავათებით, რაც განაპირობებს დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას და ხელს შეუწყობს მათ სოციალურ ინტეგრაციას. ეს კი, თავის მხრივ, გაზრდის ბავშვის შესაძლებლობებს, რომ მაქსიმალურად შემცირდეს დაავადების პროგრესის ტემპი.



80 შშმ ბავშვი უზრუნველყოფილი იქნება ფულადი გასაცემელით – სოციალური პაკეტით. ერთი შშმ ბავშვის სოციალური პაკეტით განსაზღვრული ყოველთვიური თანხა 425 ლარს შეადგენს.

აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში 1 მარტიდან შევა.

დიუშენის კუნთოვანი დისტროფია იშვიათ, გენეტიკურად განპირობებულ, კუნთების პროგრესული დაზიანებით მიმდინარე დაავადებას წარმოადგენს", – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.



## მოსახლეობას 425 მილიონი ლარის დავალიანება ჩამოეწერება!

მიხეილ დემეტრაშვილი ერთ-ერთია იმ 66 000-ზე მეტი ადამიანიდან, რომელმაც კოვიდპანდემიის დროს გაჩერებული ბიზნესის გამო, დაკისრებული ფინანსური ვალდებულებების შესრულება ვეღარ მოახერხა. მეწარმეს, საგადასახადო ამნისტიის ფარგლებში 450 000 ლარის დავალიანება გაუნულდა.

მთავრობის ინიციატივა გადასახადის გადამხდელ ყველა ფიზიკურ პირს ეხება და იმ აღიარებული ფინანსური ვალდებულების განულებას ითვალისწინებს, რომელიც მათ 2021 წლის პირველ იანვრამდე დაეკისრათ. შემოსავლების სამსახურში ამბობენ, რომ საგადასახადო შეღავათი მოქალაქეებს დაეხმარება, ეკონომიკურ საქმიანობას ისევ დაუბრუნდნენ. ამ დრომდე, საგადასახადო ამნისტიით, ფიზიკურ პირებს, მათ შორის მეწარმეებს 425 მილიონი ლარის დავალიანება ჩამოეწერათ.

დავალიანების ჩამოწერის შემდეგ, უქმდება ის იძულებითი ღონისძიებებიც, რაც მეწარმე სუბიექტებისთვის იპოთეკისა და ქონების დაყადაღებას ითვალისწინებს. საგადასახადო ადმინისტრირების მეთოდოლოგიის სამმართველოში იმ პროცედურებს განმარტავენ, რომლის გავლის შემდეგ შესაძლებელია დავალიანების განულება.

აღიარებული საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის ინიციატივა მთავრობას ეკუთვნის. საგადასახადო ამნისტიით სარგებლობა, შემოსავლების სამსახურში შესაბამისი განცხადების წარდგენის შემდეგ არის შესაძლებელი.

## აფხაზეთის მთავრობის საქმიანობა უნდა იყოს მაქსიმალურად ეფექტური!

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ლევან მგალობლიშვილის ხელმძღვანელობით აფხაზეთის მთავრობის მორიგი სხდომა გაიმართა.**

სხდომის ფარგლებში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრებმა აფხაზეთის მთავრობის ინსტიტუციური გაძლიერების საკითხები განიხილეს.

ცვლილებების თანახმად, იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატს სტატუსი შეეცვალა და იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამინისტროდ ჩამოყალიბდა.

**ინფორმაციას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ავრცელებს.**

# ექიმის სისადავე მაღალი გემოვნების და პროფესიონალიზმის ნიშანია



## წყალტუბოს საპატიო მოქალაქე დემურ კირთაძე მოსკოვიდან გვეფერება!

**ისტორიულმა** ბედუკუღმართობამ ისე მოიტანა, რომ ხალასი ნიჭით დაჯილდოებულ ქართველებს, სხვადასხვა იმპერიებისა და გავლენიანი სახელმწიფოების სატახტო ქალაქებში მოუწიათ ცხოვრება-მოღვაწეობა. სხვას რომ თავი დავანებოთ, მაგალითისთვის, სპარსეთის, ოსმალეთისა და რუსეთის დედაქალაქების დასახელება იკმარებდა, სადაც წამყვან პოზიციებს იკავებდნენ ჩვენი თანამემამულეები...

1959 წელს გამოცემულ ვლადიმერ ტატიშვილის წიგნში „ქართველები მოსკოვში“, საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით აღწერილია, იძულებით ემიგრირებულ ქართველ დიდებულთა ცხოვრება-მოღვაწეობა, მე-16 საუკუნის მეორე ნახევრიდან, ვიდრე მე-18 საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისამდე, რაც უაღრესად ფასეულია ფეოდალური საქართველოს ისტორიის უკეთ გაგებისათვის.

საბჭოთა ეპოქას თუ გამოვაკლებთ, როცა ერთიან მრავალეროვნულ სახელმწიფოში მოგვიწია ცხოვრებამ იგივე ვითარება გვაქვს დღესაც – უამრავი ქართველი ინტელექტუალი ახდენს საკუთარი ნიჭისა და უნარების უცხოეთში რეალიზებას, იმ მარტივი მიზეზების გამო, რომ სამშობლოში არ ეძლევა ამის შესაძლებლობა.

**ერთ-ერთი ასეთი პიროვნება, რომელმაც მსოფლიოს მეგაპოლისებში გაიტანა საქართველოს სახელი, გახლავთ მოსკოვში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რუსეთის დამსახურებული ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ანგიოლოგთა საერთაშორისო საბჭოს წევრი, მრავალი ჯილდოს მფლობელი დემურ გრიგოლის ძე კირთაძე.**

დემურ კირთაძე დაიბადა 1949 წლის 31 მაისს წყალტუბოს რაიონის სოფელ ხომულში, მოსამსახურეთა ოჯახში. მიუხედავად იმისა, რომ სპორტით იყო გატაცებული, წყალტუბოს რუსული საშუალო სკოლის მედალზე დამთავრების შემდეგ, პროფესიად ექიმობა აირჩია და მოსკოვის ი.მ. სეჩენოვის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტში ჩაირიცხა, ზოგადი ქირურგიის ფაკულტეტზე.

ბატონი დემურის ბიოგრაფია არის იმის მკაფიო მაგალითი, თუ როგორ შეიძლება მიაღწიოს მიზანდასახულმა ახალგაზრდამ მეცნიერების მწვერვალებს, სუბიექტური წინააღმდეგობებისა და ხელოვნური დაბრკოლებების პირობებში.

**2024 წელს გამოცემულ ავტობიოგრაფიულ წიგნში „Не запятнав халат своей белий“, დემურ კირთაძეს შთამბეჭდავად აქვს აღწერილი არა მარტო ბავშვობის, ყრმობისა და სტუდენტობის ტკბილ-მწარე ეპიზოდები, არამედ პრაქტიკოსი მეცნიერისთვის დამახასიათებელი პერიპეტიები, კარიერული აღმასვლის გზაზე.**

**ავტობიოგრაფიული ნოველა ვერაბი ჟანრიაო, ნათქვამი აქვს ედუარდ შევარდნაძეს მემუარების წიგნად გამოცემასთან დაკავშირებით, რაშიც, უპირველეს ყოვლისა, არასასურველი ფაქტებისა და მოვლენების გაკეთილშობილების მცდელობა უნდა იგულისხმებოდეს.**

ადამიანები ტყუილს მიმართავენ მაშინ, როცა ფაქტებს არ ეყრდნობიანო, წერს სოფიის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოსოფოსი და ესთეტიკური პრობლემების მკვლევარი ივან სლავოვი.

მისასალმებელია, რომ დემურ კირთაძე ყოველგვარი კოსმეტიკური შელამაზების გარეშე გვაწვდის 75-წლიანი ბიოგრაფიის ძირითად ასპექტებს და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, გულწრფელ მადლიერებას გამოხატავს იმ ადამიანების მიმართ, ვისაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით მისი პროფესიული დახელოვნების საქმეში.

ინსტიტუტში 6-წლიანი სწავლის პერიოდში დემურ კირთაძის პედაგოგები იყვნენ მსოფლიო დონის მეცნიერები: დიმიტრი ჟდანოვი, პეტრე ანოხინი, ვლადიმირ ვასილენკო, ბორის პეტროვსკი, ვიქტორ სტრუჩკოვი, დიმიტრი ხარკევიჩი, მიხაილ კუზინი, ანატოლი სტრუკოვი, ზინაიდა ბონდარი, მარია პაციორა, გალინა სატიუკოვა, მიხაილ საპინი, ფიოდორ ტილიზინი, იულიან აფანასიევი, ვლადიმირ კოვანოვი, იგორ სიჩენიკოვი, გიორგი იუმაშევი, იური პიტული, ვლადიმირ ბოჩაროვი, ბორის ნიკიტინი, ნიკოლაი ჩებიშევი...

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დემურ კირთაძემ სტაჟირება გაიარა მოსკოვის **N20** კლინიკურ საავადმყოფოში, ზოგადი ქირურგიის განხრით და ასე შედგა ფეხი დიდ მედიცინაში, როგორც დიპლომირებულმა სპეციალისტმა.

მისი კარიერული აღმასვლა იწყება მოსკოვის ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის **N13** კლინიკური საავადმყოფოდან, სადაც მუშაობდა ტრავმატოლოგად, ხოლო მომდევნო წლებში იყო სეჩენოვის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტის უფროსი ლაბორანტი და უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

1985 წელს დაამთავრა ასპირანტურა, მოიპოვა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი და მუშაობა დაიწყო მოსკოვის **N78** პოლიკლინიკაში საკონსულტაციო-ქირურგიული განყოფილების გამგედ, ხოლო შემდეგ, იმავე პოზიციაზე – საგანგებო სიტუაციების სამინისტროს მე-4 პოლიკლინიკის განყოფილებაში.

1991 წელს იწყება ახალი ეტაპი დემურ კირთაძის ცხოვრებაში – ინიშნება ომის ვეტერანთა მოსკოვის **N1** ჰოსპიტალის მთავარ ექიმად.

ცნობისათვის, იმ პერიოდზეა საუბარი, როცა რუსეთის ფედერაციაში მძვინვარებს სახელისუფლებო კორუფცია, მათ შორის, სამედიცინო სფეროში, ხოლო საკუთრივ ჰოსპიტალი სავალალო მდგომარეობაშია როგორც სტაციონალური უზრუნველყოფის, ისე მკურნაროლის თვალსაზრისით.

**ევგენი ევტუშენკოს პოეტური გონებამახვილობით აქვს აღწერილი არსებული მდგომარეობა:**

**„Ярмарка!**
**В России ярмарка!**
**Торгуют совестью, стыдом, людьми...“**

**ასეთი განუკითხაობის მიუხედავად, დემურ კირთაძემ შეუძლებელი შეძლო, ყველა კავშირი გამოიყენა, ანტაგონისტურად განწყობილი ხელმძღვანელი რგოლის წარმომადგენლებთან საერთო ენა გამონახა და შემჭიდროებულ ვადებში სუპერთანამედროვე ჰოსპიტალი ჩააყენა ვეტერანთა სამსახურში. საკმარისია, თვალი შეავლო ძველი და ახალი შენობის ფოტოსურათებს, რომ დაინახო კონტრასტი – ერთ მხარეს „ავგიას თავლა“, ხოლო მეორე მხარეს მწვანეში ჩაფლული, შესაფერისი ინფრასტრუქტურით აღჭურვილი მრავალფუნქციური კომპლექსი!**

1997 წლიდან ბატონი დემური მედიცინის მეცნიერებათა დოქტორია, სრულიად დამსახურებულად, რადგან იგი გახლავთ 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და რამდენიმე წიგნის ავტორი.

**მომეცა შესაძლებლობა, მენახა დემურ კირთაძის შესახებ მომზადებული დოკუმენტური ფილმი, რაც მაფიქრებინებს, რომ თითოეული თანამშრომლის თვალში ჰოსპიტალის მთავარი ექიმი (პრეზიდენტი) არის „Человек с большой буквы“.**

არასრული ექვსი თვის განმავლობაში მქონდა პატივი, ორჯერ შევხვედროდი ბატონ დემურს. პირველად, 2023 წლის დეკემბერში, მისი უმცროსი ძმის მურად კირთაძის დაბადების აღსანიშნავ წვეულებაზე და მეორედ, 2024 წლის 25 მაისს, მათი ძვირფასი დედის, ქალბატონ ლუბა ფანცხავას 100 წლისთავისადმი მიძღვნილ წარმომადგენლობით საღამოზე. ერთი შეხედვით, წარმოუდგენელია, რამდენიმესაათიანი შეხვედრის ფარგლებში სრულყოფილად ჩაწვდე ადამიანის შინაგან სამყაროს, მაგრამ დემურ კირთაძის ერუდიცია, იუმორის გამახვილებული გრძნობა და კომუნიკაბელურობა მნიშვნელოვნად ამარტივებს ამ ამოცანას. შთამბეჭდავი რეგალიებისა და სამეცნიერო ტიტულების მიუხედავად, იგი უაღრესად თავმდაბალი ადამიანია, რაც დასაფასებელი თვისებაა – სისადავე ხომ გემოვნების ნიშანია!

სასიამოვნო გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ბატონ დემურს შენარჩუნებული აქვს გამოკვეთილი იმერული მეტყველება და ინტონაცია, თითქოს ათეული წლები არ ეცხოვროს რუსულენოვანი საზოგადოების გვერდით.

**დემურ კირთაძე, როგორც სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცი და წყალტუბოს საპატიო მოქალაქე, განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს იმ თანამემამულეთა მიმართ, რომლებიც სერიოზულ დახმარებას საჭიროებენ. მისასალმებელია, რომ ამ კეთილშობილურ საქმეში გვერდით უდგას ოჯახი – მეუღლე ნანა ჯოჯუა, შვილებთან, ირაკლისა და ლიკასთან ერთად.**

მშობლებისადმი მადლიერება საქართველოში არავის უკვირს, მაგრამ მაინც ამაღელვებელია, როცა 75 წლის მამაკაცი 100 ხასხასა ვარდით ხელში შედის სასაფლაოს ეზოში და განსაკუთრებული მოწიწებით მიაგებს პატივს მისთვის ძვირფასი ადამიანების ხსოვნას.

– მიუხედავად იმისა, რომ დედა ხანდაზმულ ასაკში, 95 წლისა გარდაიცვალა, დღემდე მომყვება ის მძიმე ემოცია და რამდენიმე დიაგნოზით აისახება ჩემი ავადმყოფობის ისტორიაშიო, წერს ბატონი დემური.

აქვე უნდა ითქვას, რომ დემურ კირთაძეს ახლო ურთიერთობა აქვს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორესთან და სამშობლოში ყოველი მორიგი ჩამოსვლისას, სტუმრობს მის უწმინდესობას.

„ამა საქმესა ვიკადრებ, შიშით, კრძალვით და რიდებით“-ო, – ამბობს რუსთაველი. გამოგიტყდებით, მარტივი არ ყოფილა, შემჭიდროებულ ფორმატში მომეთხრო იმ პრაქტიკოსი მეცნიერის შესახებ, რომელიც მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს სამედიცინო წრეებში, მაგრამ არანაკლებად მნიშვნელოვანია, უფრო მეტად იცნობდეს ფართო საზოგადოება ადამიანს, ვისთვისაც საქართველო სალოცავი ხატია, ხოლო მშობლიური წყალტუბო – სამყაროს ცენტრი.

**თეიმურაზ ჯანელიძე**

# გამაგრება-რეკონსტრუქცია ლეღვთახევში

**საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში, ლეღვთახევის ტერიტორიაზე, უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით, გამაგრება-რეკონსტრუქციის სამუშაოები მიმდინარეობს. ინფორმაციას თბილისის მერია ავრცელებს.**



პროექტირება ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე განხორციელდა და ტერიტორიაზე ქვათაცვენის შემაკავებელი ღონისძიებები დაიწყო.

მიმდინარე სამუშაოებს თბილისის მერი კახა კალაძე, მოადგილეებთან – ირაკლი ზენდელიანთან და ანდრია ბასილაიასთან ერთად გაეცნო.

დედაქალაქის მერთან ერთად, ადგილზე ეროვნული ბოტანიკური ბაღის დირექტორი ირინე დანელია, თბილისის განვითარების ფონდის დირექტორი გიორგი პაპავა, ასევე, კრწანისის გამგებელი ბექა მიქაუტაძე და რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ლევან ჯაფარიძე იმყოფებოდნენ.

# კონსერვატორიის საჩუქარი სამუსიკო სკოლებს

**საქართველოს კულტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია აგრძელებს სამუსიკო სკოლებისა და სასწავლებლებისთვის როიალების გადაცემას.**

ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლისთვის ინსტრუმენტის გადაცემას დღეს საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე გიორგი მირცხულავა დაესწრო.

კონსერვატორია მის ბალანსზე არსებულ როიალებს სხვადასხვა მუნიციპალიტეტების სამუსიკო სკოლებსა და სასწავლებლებს ეტაპობრივად გადასცემს.

როიალების გადაცემა გასული წლის დეკემბერში დაიწყო. ინსტრუმენტები უკვე გადაეცათ რუსთავისა და გორის სამუსიკო სკოლებს.



# მიკერძოებული სააგენტოს სიტყვის თავისუფლება

**ამერიკულმა** საინფორმაციო სააგენტომ **Associated Press**-მა სარჩელი შეიტანა დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის ოფიციალური პირების წინააღმდეგ აშშ-ის პრეზიდენტის მონაწილეობით გამართულ ღონისძიებებზე დასწრების აკრძალვის გამო.

**„აშშ-ში პრესასა და ყველა ადამიანს საკუთარი სიტყვების შერჩევის უფლება აქვს, ისე, რომ ხელისუფლების მხრიდან შურისძიების მსხვერპლი არ გახდეს. კონსტიტუცია ხელისუფლებას სიტყვის თავისუფლების კონტროლის უფლებას არ აძლევს და ხელისუფლების მიერ მსგავსი კონტროლი და საპასუხო რეპრესიები ყველა ამერიკელის თავისუფლებას საფრთხეს უქმნის“,** – ნათქვამია **Associated Press**-ის სარჩელში.

ერთი სიტყვით, **Associated Press**-მა არაკონსტიტუციური უწოდა თეთრი სახლის მცდელობას, ხელი შეეშალა სახელწოდება „მექსიკის ყურის" გამოყენებაში. შეგახსენებთ, რომ ტრამპის ბრძანებით, ამ ყურეს სახელი შეეცვალა და „ამერიკის ყურე“ ეწოდა.

მანამდე თეთრი სახლის კორესპონდენტთა ასოციაციამ (**WHCA**) მკვეთრად დაგმო ტრამპის ადმინისტრაციის გადაწყვეტილება, უარი უთხრას **Associated Press**-ს ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ნარენდრა მოდის პრესკონფერენციაზე დაშვებაზე. ასოციაციამ ამას „მიუღებელი ესკალაცია“ და პრესის თავისუფლების დარღვევა უწოდა, იტყობინება ამერიკული გამოცემა **Hill.**

სააგენტო არაერთხელ გააკრიტიკა მილიარდერმა და აშშ-ის მთავრობის ეფექტურობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ილონ მასკმა. მან საჯაროდ დასცინა **Associated Press**-ს მას შემდეგ, რაც გავრცელდა ინფორმაცია, რომ სააგენტომ აშშ-ის ბიუჯეტიდან $52 მილიონზე მეტი მიიღო.

მანამდე მან სააგენტოს „ულტრამემარცხენე პროპაგანდისტული მანქანა“ უწოდა და მძაფრად გააკრიტიკა აშშ-ის ყოფილ პრეზიდენტ ჯო ბაიდენთან მომხდარი ინციდენტის შესახებ ინფორმაციის უარყოფის მცდელობის გამო, როდესაც „მძინარე ჯო" მორიგჯერ ჩავარდა ტრანსში საჯარო ღონისძიებაზე.







# ევროპელი პოლიტიკოსები ანგრევენ საქართველოს

**NATO-ს გაფართოება აშშ-ის გრძელვადიანი გეგმის ნაწილი იყო, მათ შორის ალიანსში საქართველოსა და უკრაინის მიღებაც, — ამის შესახებ ამერიკელმა პროფესორმა, კოლუმბიის უნივერსიტეტის მდგრადი განვითარების ცენტრის დირექტორმა, ჯეფრი საქსმა განაცხადა ევროპარლამენტში გამართულ ღონისძიებაზე „მშვიდობის გეოპოლიტიკა".**



მისივე თქმით, 2007 წელს პუტინი მიუნხენის კონფერენციაზე გამოვიდა მოწოდებით, რომ ნატო-ს გაფართოება შეჩერებულიყო, თუმცა ეს პროცესი მაინც გაგრძელდა.

**„2008 წლის მაისში მოვუსმინე ბატონ სააკაშვილს ნიუ იორკში და ვთქვი, რომ ეს კაცი შეშლილია. რამდენიმე თვის შემდეგ ომი დაიწყო, რადგან აშშ-მა უთხრა სააკაშვილს: „ჩვენ გადავარჩენთ საქართველოს", და შემდეგ ის გამოდის სიტყვით საგარეო ურთიერთობათა საბჭოში და ამბობს, რომ საქართველო ევროპის შუაგულშია. ქალბატონებო და ბატონებო, ეს ასე არ არის. ის არ არის ევროპის ცენტრში. უკანასკნელი მოვლენები არ არის სასარგებლო საქართველოსთვის, მისი უსაფრთხოებისთვის. ევროპარლამენტარები და ევროპელი პოლიტიკოსები რომ ჩადიან საქართველოში, ეს კი ანგრევს საქართველოს“,** — განაცხადა ჯეფრი საქსმა.

საქართველოს პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი გია ვოლსკი საქვეყნოდ ცნობილი პროფესორის განცხადებას გამოეხმაურა:

**„ჯეფრი საქსი ცნობილი მეცნიერია და ძალიან ბევრი პლატფორმა არის დაინტერესებული, რომ მიიწვიონ, მისი აზრი მოისმინონ, არაერთგვაროვანია, უპირისპირდებიან კიდეც, მაგრამ ამ შემთხვევაში და ბევრ სხვა შემთხვევაშიც ამბობს ფაქტს, რაც ვიხილეთ. ასეთი მაღალი ტრიბუნიდან როდესაც ასეთი კომპეტენციის ადამიანის შეფასება გაისმის, რასაკვირველია, ეს ბევრისთვის საყურადღებო უნდა იყოს. ჩამოდიან ადამიანები, რომლებიც თავიანთ ქვეყანაში არ არიან პოპულარულები და მოწინავე პოლიტიკურ პოზიციებზე და აქ სურთ, ახალგაზრდებს ტვინი აურიონ და კარნახობენ იმას, რომ „მაიდანის" სცენარი არის ყველაზე მისაღები ქვეყნისათვის. წარმოიდგინეთ, მათ არაფერი ენაღვლებათ, აბსოლუტურად არ აინტერესებთ საქართველოს მომავალი, მისი ბედი, გააჩნიათ გარკვეული პოლიტიკური ხედვა, თავიანთი ინტერესი გააჩნიათ და უნდათ, ჩვენს ქვეყანაში მათი ინტერესის რეალიზება ასეთი ბოროტი გზით მოხდეს. ამაზე ლაპარაკობს ჯეფრი საქსი, გამოჩენილი მეცნიერი, პოლიტოლოგი და, ვფიქრობ, საყურადღებოა ძალიან ბევრისთვის, და არამარტო საქართველოში“,** — განაცხადა გია ვოლსკიმ.



ჯეფრი საქსი გაეროა გენერალური მდივნის საგანგებო თანაშემწე იყო. ამერიკული გამოცემა ეკონომისტი მას ათწლეულის ყველაზე გავლენიან ეკონომისტთა სამეულში ასახელებს.

# რატომ არ მუშაობს ,,მტკვარჰესი,“ ნაძირალა ბრალდებული გიორგი ბაჩიაშვილი!

## საქართველოს პროკურატურამ გიორგი ბაჩიაშვილს სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობის ფაქტზე ბრალდება წარუდგინა



**საქართველოს** პროკურატურამ თანაინვესტირების ფონდის ყოფილ გენერალურ დირექტორ გიორგი ბაჩიაშვილს სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობის ფაქტზე ბრალდება წარუდგინა.

პროკურატურის ინფორმაციით, ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2013 წლის მაისში, ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით, საქართველოში მნიშვნელოვანი საინვესტიციო პროექტების განხორციელების მიზნით, შპს ,,ჯი სი ეფ პარტნიორები“ – იგივე თანაინვესტირების ფონდი დაფუძნდა. დაფუძნების დღიდან 2019 წლის მაისამდე ფონდის გენერალური დირექტორის თანამდებობას გიორგი ბაჩიაშვილი იკავებდა და შემდგომ 2023 წლამდე ამავე ფონდის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარეც იყო.

„2014 წლის ნოემბერში, თანაინვესტირების ფონდმა კომპანია ,,ჯი სი ეფ ლუქსემბურგთან“ წერილობითი შეთანხმება გააფორმა, რომლითაც კომპანიის მიერ საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების, ასევე არსებული აქტივების სწორად და ეფექტურად მართვაზე პასუხისმგებლობა აიღო.

იმავე წელს, კომპანია ,,ჯი სი ეფ ლუქსემბურგმა“ გიორგი ბაჩიაშვილის ინიციატივით შპს ,,მტკვარი ჰესის“ წილი შეიძინა, რომელიც ახალციხეში მდინარე მტკვარზე ასაშენებელ ჰესის პროექტს ფლობდა. თავდაპირველი გათვლებით მტკვარი ჰესი მომგებიან საინვესტიციო პროექტს წარმოადგენდა, რომლის აშენების ღირებულება დაახლოებით 140 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენდა და ჰესი ექსპლუატაციაში 2019 წელს უნდა შესულიყო.

მტკვარი ჰესის პროექტის შეძენამდე, თანაინვესტირების ფონდის დაკვეთით, ჰესის პროექტის ექსპერტიზა და შესაბამისი კვლევები ჩატარდა, რის შედეგადაც არაერთი მნიშვნელოვანი, ასევე არსებითი ხასიათის რისკი და საფრთხეები გამოვლინდა, გამოვლენილი რისკები სავალდებულოდ უნდა გათვალისწინებულიყო როგორც ჰესის მშენებლობის დაწყებისას, ასევე მიმდინარეობის პროცესში.

მიუხედავად იმისა, რომ გიორგი ბაჩიაშვილი, როგორც თანაინვესტირების ფონდის გენერალური დირექტორი, სრულად იყო პასუხისმგებელი,,ჯი სი ეფ ლუქსემბურგის“ საინვესტიციო პროექტების და აქტივების სწორად და ეფექტურად მართვაზე, იგი არაჯეროვნად ასრულებდა მისდამი დაკისრებულ მოვალეობას და არც ჰესის მშენებლობის დაწყებისას და არც შემდგომ პერიოდში, არ მიიღო შესაბამისი და აუცილებელი ზომები იდენტიფიცირებული რისკების თუ საფრთხეების აღმოსაფხვრელად, რაც ჰესის მშენებლობის პროცესს უკავშირდებოდა.

შედეგად, მტკვარი ჰესის საინვესტიციო მოცულობა და ექსპლუატაცია შესვლის პერიოდი შეუსაბამოდ გაიზარდა, რაც ნეგატიურად აისახა პროექტის მომგებიანობაზე და მისი საინვესტიციო ღირებულება დაახლოებით 100 მილიონი ამერიკული დოლარით – 240 მილიონ ამერიკულ დოლარამდე გაიზარდა, საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მიუხედავად კოლოსალური დანახარჯებისა, ჰესი ექსპლუატაცია შიდღემდე არ შესულა, შედეგად კი არსებითად დაზიანდა ინვესტორის კანონიერი ინტერესები

გიორგი ბაჩიაშვილს ბრალი საქართველოს სსკ-ის 2201-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარედგინა, რაც სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობას ან არაჯეროვნად შესრულებას გულისხმობს, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია. წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახედ და ზომად 2-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

აქვე გვსურს საზოგადოებას ვაცნობოთ, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილი მიმდინარე გამოძიების ფარგლებში აგრძელებს მართლსაწინააღმდეგო მითვისების და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტების შესწავლას, მათ შორის შესაბამისი სამართლებრივი დახმარების ფარგლებში უცხო სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოებისათვის მიმართვის გზითაც. გამოძიების საწყის ეტაპზევე პროკურატურამ სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ შუამდგომლობით მიმართა შვეიცარიის კონფედერაციის კომპეტენტურ უწყებებს, შვეიცარიაში მდებარე **BANK JULIUS BAER**-დან საქმეზე მნიშვნელოვანი მტკიცებულებების, მათ შორის გიორგი ბაჩიაშვილის საბანკო ანგარიშებთან დაკავშირებული ინფორმაციის გადმოცემის მოთხოვნით.

გამოძიების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ პერიოდულად მოვახდენთ საზოგადოების ინფორმირებას“ – წერია გავრცელებულ ინფორმაციაში.

# შენც კარგი ვინმე ყოფილხარ, „შებერტყილო“ დეპარდიე!

**ფრანგული მედიის ცნობით, 76 წლის ფრანგი მსახიობის, ჟერარ დეპარდიეს წინააღმდეგ მძიმე საგადასახადო თაღლითობის ფაქტზე გამოძიება მიდინარეობს!**



არსებული ინფორმაციით, მსახიობი 2013 წლიდან ბელგიაში კერძო საკუთრებას (საცხოვრებელ სახლს) ფლობს, რომელიც დეპარდიეს მის მიერ შევსებულ დეკლარაციებში არასდროს აღურიცხავს.

დეპარდიეს საგადასახადო თაღლითობის საქმეზე საფინანსო პოლიციამ გამოძიება თებერვლის თვეში დაიწყო – რის ფარგლებშიც საფრანგეთსა და ბელგიის მასშტაბით რეიდები ჩატარდა.

ცნობისთვის, მსახიობმა 2012 წლის დეკემბერში განაცხადა, რომ უარს ამბობდა საფრანგეთის მოქალაქეობაზე და ბელგიაში აპირებდა „გადაცხოვრებას“ – დეპარდიემ მალევე მოიპოვა რუსეთისა და ბელგიის მოქალაქეობა, სადაც 1.2 მილიონი ევროს მქონე საბაზრო ღირებულების კერძო საკუთრება შეიძინა, საფრანგეთის საზღვართან ახლოს.

საფინანსო პროკურატურა დეპარდიეს ასევე სდებს ბრალს მისი შემოსავლის არადეკლარირებაშიც.

ცნობისთვის, საფინანსო თაღლითობის პარალელურად, ჟერარ დეპარდიეს სექსუალურ შევიწროებაში და გაუპატიურებაში ათობით ქალი სდებს ბრალს – მათ შორის, ელენ დარასი, რომელიც დეპარდიესთან ერთად 2007 წელს ფილმ „დისკოზე“ მუშაობდა.

ასევე, სავარაუდო მსხვერპლებს შორისაა მსახიობი შარლოტ არნო, რომლის თქმით, ჟერარ დეპარდიემ 2018 წელს ის ორჯერ გააუპატიურა. თავად ჟერარ დეპარდიემ **Le Figaro**-ში გამოქვეყნებულ წერილში აღნიშნული ბრალდებები სრულად უარყო.

2023 წლის 15 დეკემბერს ფრანგი მსახიობი ემანუელ დებევერი მდინარე სენაში გადახტა, მაშველებმა ქალი ვერ გადაარჩინეს. მსახიობმა თავი იმ დღეს მოიკლა, როდესაც ფრანგულ ტელევიზიაში გადიოდა საგამოძიებო ჟურნალისტური სიუჟეტი ჟერარ დეპარდიეს შესახებ.

ემანუელ დებევერი ჟერარ დეპარდიესთან ერთად 1982 წლის ფრანგულ ფილმ „დანტონში“ მონაწილეობდა, რომლის გადაღებებისას, დებევერის მტკიცებით, ჟერარ დეპარდიემ ის სექსუალურად შეავიწროვა.

2019 წელს დებევერმა გაიხსენა, რომ ფილმ „დანტონის“ გადაღებისას ჟერარ დეპარდიე სარგებლობდა გადასაღებ მოედანზე მასთან ფიზიკური სიახლოვით და ერთ-ერთ სცენაში, სადაც ისინი ეტლით მგზავრობენ, დეპარდიემ ხელი მას კაბაში შეუცურა, რასაც ქალი ეწინააღმდეგებოდა

თავად მსახიობი ყველა ბრალდებას უარყოფს.

# ქართველი ყაჩაღები იტალიის დედაქალაქს ძარცვავენ

**გასული** კვირის განმავლობაში, პოლიციის განყოფილების სასამართლო ექსპერტიზის ჯგუფის გამომძიებლებმა ქურდობისა და ძარცვის შემოწმების დროს 600-ზე მეტი პირი გამოავლინეს, 5 დააკავეს და 2 ოქმი შეადგინეს. დაკავებულებს შორის არიან ქართველებიც.



გავრცელებული ინფორმაციით, ისინი სახლებს ალბანელებთან ერთად ძარცვავდნენ. ჯგუფს სპეციალური გეგმა ჰქონდა შემუშავებული.

როგორც ცნობილია, ქართველები ძარცვის დროს ეძებდნენ ისეთ სახლებს, რომლებიც ცარიელი იყო. ბინის კარზე წებოვან ლენტს ტოვებდნენ, რათა გაეგოთ, რამდენიმე დღის განმავლობაში მფლობელი სახლში მივიდოდა თუ არა. დაკვირვების შემდეგ კი ალბანელების ჯგუფთან ერთად ძარცვავდნენ სახლს.

როგორც პოლიცია ამბობს, მათ ნებისმიერი კარის საკეტის გაღება შეეძლოთ. მათი თქმით, ეს ფენომენი საკმაოდ გავრცელებულია დედაქალაქში.

* * *

## მილანში საქართველოს მოქალაქე დააკავეს!




**იტალიაში**, მილანში საქართველოს მოქალაქე დააკავეს. ინფორმაციას ამის შესახებ ადგილობრივი მედია ავრცელებს.

მათი ცნობით, 24 წლის კაცმა მსხვერპლის უყურადღებობით ისარგებლა, მას ჯიბიდან ტელეფონი ამოაცალა და გაიქცა. ეს ყველაფერი კი პოლიციის თვალწინ მოხდა. ახალგაზრდა ადგილზევე დააკავეს, მოპარული მობილური კი მეპატრონეს დაუბრუნეს.

ქართველი ახლა სასამართლო პროცესის მოლოდინშია.

# ისტორიაში ყველაზე მასშტაბური კიბერთავდასხმა



**კრიპტოინდუსტრია მორიგი მასშტაბური კიბერშეტევის სამიზნე გახდა – ჰაკერებმა საერთაშორისო კრიპტობირჟა ByBit-იდან რეკორდული 1.5 მილიარდი დოლარის მოცულობის კრიპტოაქტივები მოიპარეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ინდუსტრიის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური კიბერთავდასხმაა.**

დუბაიში დაფუძნებული კრიპტობირჟის განცხადებით, მასშტაბური შეტევის მიუხედავად, მომხმარებლებს საფრთხე არ ემუქრებათ, რადგან მოპარულ აქტივებს კომპანია თავად აანაზღაურებს და ამ შეტევით ზარალი **ByBit**-ის კლიენტებს არ მიადგებათ. კომპანია იმასაც აღნიშნავს, რომ კრიპტობირჟის პორტფელში ისევ უსაფრთხოდ რჩება 20 მილიარდი დოლარის აქტივები, რომელთაც არავითარი საშიშროება არ ემუქრებათ და ბირჟიდან მათი გატანის საჭიროება არ არის.

როგორც ცნობილია, ჰაკერებმა **ByBit**-ის უსაფრთხოების სისტემაში შეღწევა და ერთ-ერთი მსხვილი საფულიდან კრიპტოვალუტის მოპარვა შეძლეს.

**ByBit**-ის დირექტორის, ბენ ჟოუს განცხადებით, კრიპტობირჟა გადახდისუნარიანია და მის 60 მილიონ კლიენტს არაფერი ემუქრება. მოპარულ აქტივებთან დაკავშირებით ჟოუ აღნიშნავს, რომ გამოძიება დაწყებულია და კომპანია ყველაფერს იზამს ჰაკერების აღმოსაჩენად, უფრო მეტიც, ის 140 მილიონი დოლარის ჯილდოს გადასცემს იმას, ვინც დამნაშავეების იდენტიფიცირებას შეძლებს.

ცნობისთვის გეტყვით, რომ 2018 წელს დაფუძნებულ **ByBit**-ს მსოფლიოს მასშტაბით ათობით მილიონი მომხმარებელი იყენებს და კრიპტობირჟების რეიტინგში ის ერთ-ერთ მოწინავე ადგილს იკავებს.

# თვითონ გვერიდონ!

**თანამედროვე საკალათბურთო გრანდსა და მსოფლიოს მოქმედ ვიცე-ჩემპიონს სერბეთს ჩვენ არანაკლებ სასახელო ტრადიციებით ზურგგამაგრებულნი ვუწევთ ღირსეულ მეტოქეობას და მერვე შეხვედრის წინ აქტივში მასთან მოპოვებული 3 გამარჯვება გვქონდა, მათ შორის ერთი – ბელგრადში.**

მას შემდეგ, რაც მასპინძელთა მსგავსად ჩვენც ზედიზედ მეექვსედ გავინაღდეთ წლევანდელი ევრობასკეტის საგზური, საკვალიფიკაციო ტურნირის დასკვნითი ტურის მატჩმა თითქოს დაკარგა ინტრიგა, მაგრამ გულშემატკივარს კარგად მოეხსენება, რომ არსებობს კიდევ რაღაც, რასაც სპორტული ჟინი, პრესტიჟი, მოტივაცია ან თუნდაც თავმოყვარეობა ჰქვია, ნახევარი ძალით ბრძოლის უფლებას რომ არ გაძლევს.

მართალია, ბალკანელებს მთელი რიგი ლიდერები აკლდათ, მაგრამ მათმა თანამემამულემ ალექსანდრ ჯიკიჩმაც ნაკრები დაატოვებინა და კლუბებში გაუშვა შენგელია-შერმადინის დამრტყმელი დუეტი, რის გამოც, რაღა დაგიმალოთ და, კარგს არაფერს ვფიქრობდით. საბედნიეროდ – შევცდით. დიახ, დიდმა საკადრო დანაკლისმა



ბიჭები, პირიქით, კიდევ უფრო შეადუღაბა და პირველი ტაიმი მოაგებინა კიდეც – 31:27.

ალბათ, მიაქცევდით ყურადღებას თამაშის დაბალშედეგიანობას, რაც, უპირველესად, დაცვაში სტუმართა საიმედოობამ განაპირობა, რასაც ხელი პერიმეტრიდან სერბთა უჩვეულო უზუსტობამ შეუწყო – შესვენებამდე მათ ერთი სამქულიანიც კი ვერ ჩააგდეს. სხვათა შორის, ამ კომპონენტში არც ჯვაროსნები ბრწყინავდნენ, თუმცა დუდა სანაძემ 2 შედეგიანი გასროლა მაინც განახორციელა.

ინერციით ასეთივე სცენარით დაიწყო მეორე ნახევარიც და ახლა უკვე ბურჯანაძემ მიბაძა პარტნიორს, მაგრამ თანდათან სვეტისლავ პეშიჩის გაწვრთნილმა გუნდმაც დაალაგა კომბინაციები, ხოლო პერსონალურ შენიშვნათა სიმრავლემ საბოლოოდ მოგვიშალა ტაქტიკური ნახაზი, რაც გადამწყვეტი აღმოჩნდა.

**სერბეთი – საქართველო 63:54**
13:17, 14:14, 17:10, 19:13

**საქართველო**: ბურჯანაძე – 17, დ. სანაძე, კორსანტია – 12-12, ანდრონიკაშვილი – 10, ს. სანაძე – 2, ლიკლიკაძე – 1 ქულა.

ევრობასკეტის წილისყრა 27 მარტს რიგაში მოეწყობა.

# დიდიან-პატარიანად

**გორჯღალოსანთა პროგრესის შეუქცევად ხასიათს საფუძვლიანად ეხმაურება ავტორიტეტულ ჟურნალ მსოფლიო რაგბის უელსელი რედაქტორის პოლ უილიამსის მიერ გამოთქმული სავსებით ლოგიკური მოსაზრება, რომ მოვიდა დრო, ელიტაში თამაშის შანსი ქართველებსაც მივცეთ და საამისოდ სულაც არაა საჭირო ვინმეს დაქვეითება – დიახ, ექვსი ერის პრესტიჟული ტურნირი შვიდ ერად უნდა გადავაკეთოთო.**

აღნიშნული პოზიციის დასტურად თბილისში ქართველ და სამხრეთაფრიკელ 20-წლამდელთა ნაკრებებს შორის გამართული პირველი ტესტი გამოდგება, რომელშიც მასპინძლებს მრისხანე მეტოქის ძლევამდე მცირედი დააკლდათ – 29:38, არადა საფინალო სასტვენამდე 12 წუთით ადრე 29:26 ვიგებდით მას შემდეგ, რაც სოლიდური ჩამორჩენა ამოვქაჩეთ და დავწინაურდით.

დავძენთ, რომ უმცროსი გორჯღალოსნები მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატისთვის ემზადებიან და 28 თებერვალს აფრიკელ თანატოლებს ისევ შეხვდებიან.



# ლიონის აღება



**გასულ უქმეებზე მორიგი გოლებით გაგვახარეს ქართველმა ლეგიონერებმა – კიტეიშვილმა, ქვილითაიამ, წიტაიშვილმა, რასაც შედეგიანი გადაცემები დაურთეს დავითაშვილმა (2) და ჩაკვეტაძემ, მაგრამ ის, რაც საფრანგეთის ლიგა – 1-ში მოხდა, მაინც განსაკუთრებულად უნდა მივიჩნიოთ.**

**ლიონი – პარი სენ-ჟერმენი 2:3.** ქართული დერბი ჯვაროსანთა ბენეფისად იქცა, არადა გიორგი მიქაუტაძე მასპინძელთა ახალმა თავკაცმა ფონსეკამ მაშინ შეუშვა ბრძოლაში, როცა ლუის ენრიკეს მატჩის გმირი და თამაშის შემდეგ საუკეთესოდ დასახელებული ხვიჩა კვარაცხელია უკვე შეცვლილი ჰყავდა.

დიახ, გულშემატკივრებს არ დაავიწყდებათ თანამემამულეთა ასისტები ისევე, როგორც ხვიჩას მიერ ახალ – მარჯვენა გარემარბის პოზიციაზე სწრაფი და, რაც მთავარია, წარმატებული ადაპტაცია და ჟორჟის მაკრატელა, დონარუმამ რომ იყოჩაღა.

მოკლედ, ჯერ სადა ხართ!..

# გიორგობა სლოვაკეთში



**უკვე გაუწყეთ ტატო .გრიგალაშვილის მიერ პოლონეთის დედაქალაქ ვარშავის ტატამზე გამართულ ევროპის ღია პირველობაზე მოპოვებულ გამარჯვებაზე, რაც მსოფლიოს სამგზის ჩემპიონისა და ეროვნული ნაკრების ლიდერისათვის, თუნდაც სეზონის სტარტზე, ჩვეულებრივ ამბად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ ხომ იცით – წარმატება ყოველთვის დასაფასებელია.**

სასიამოვნოა, რომ საამაყო დიდოსტატს ღირსეულად აუბეს მხარი თანამემამულე კადეტმა ძიუდოისტებმა, რომლებმაც სლოვაკურ სამორინში გათამაშებულ კონტინენტურ თასზე მკერდი 4 წონაში მოხვეჭილი 6 მედლით დაიმშვენეს, 90 კილოში კი სულაც ქართული ფინალი ვიხილეთ. არანაკლებ აღსანიშნავი ფაქტია, რომ სამივე ჯვაროსან ჩემპიონს გიორგი ჰქვია.

**ოქრო** – გიორგი მუმლაძე (81), გიორგი ზურაბაშვილი ( 90), გიორგი ქარჩაიძე (+90). **ვერცხლი** – ვასილ გამეზარდაშვილი (73), ლუკა აბგაიძე (90). **ბრინჯაო** – ნიკოლოზ გადრანი (90).

# ხალიჩის რაინდი

**რა ზუსტად ერქვა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობას ჯერ ანტიკური, ხოლო შემდეგ – კლასიკური.**

საამისოდ, ბევრ სხვა ღირსეულთა მსგავსად, საკმარისი იყო **როსტომ აბაშიძისათვის** შეგევლო თვალი და დარწმუნდებოდი – მისი სახით ხალიჩას დიდოსტატი ამშვენებდა მითიურ გმირთა აღნაგობით.

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს 90 ბრძოლიდან ერთიც არ წაუგია და უამრავ გამარჯვებაში მხოლოდ რამდენიმე ფრე გაურია, რასაც მაშინდელი დებულება ითვალისწინებდა, მაგრამ ამით მის შარავანდედს არაფერი დაჰკლებია. დასანანი მხოლოდ ის გახლავთ, რომ სწორედ ამის გამო ტოკიოს ოლიმპიადაზე უმედლოდ დარჩა.

სწორუპოვარ ფალავანს დიდი პატივისცემით ვულოცავთ 90 წლის იუბილეს. საუკუნის მოკეცვამდე რაღა დარჩა? მრავალჟამიერ, რაინდო.

**სრ სპორტის რედაქცია**



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი

დავით გურგენიძე,

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, ენერგეტიკისა და ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტები, სტუ-ის სამეცნიერო და აკადემიური წრეები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

## თინა მდინარაძე-ქუთათელაძის

გარდაცვალების გამო და გულწრფელ სამძიმარს და თანადგომას უცხადებენ ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს, პროფესორ რუსუდან ქუთათელაძეს და ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელს, პროფესორ ქეთევან ქუთათელაძეს, ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

უფალმა დაამკვიდროს ქალბატონი თინას უკვდავი სული, სადაც მართალნი განისვენებენ.

## ჯემალ სადაღაშვილი



კიდევ ერთი, ნაღდი, გულიანი კაცი შეუერთდა მარადიულ, ზეციურ საქართველოს. **ჯემალ სადაღაშვილი** იყო ქალაქზე და ქალაქელებზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი. ძირძველი ნაძალადეველი, უბნისა და ქალაქის ჭირისა და სიხარულის გამზიარებელი, შეჭირვებულთა გვერდში მდგომი და იმედი, თბილი მეოჯახე და ბაბუა.

იგი 1948 წელს დაიბადა, წლების განმავლობაში მუშაობდა „თბილღვინოში“. თბილისელთათვის ლეგენდარული თენგიზ კეკელიძის რჩეული კადრი და უერთგულესი მეგობარი, ყოველთვის გამოირჩეოდა პირდაპირობით, პროფესიონალიზმითა და თანამშრომელთა დიდი ნდობითა და სიყვარულით. შემდგომში გახლდათ (2007-2010 წლებში) თბილისის საკრებულოს დეპუტატი, ყოველთვის გამოირჩეოდა პატივისცემითა და ქალაქელთა უფლებების დაცვით. ჯემალ სადაღაშვილმა საფუძველი ჩაუყარა შესანიშნავ ტრადიციას – პატივისგება გამორჩეული ნაძალადეველების მიმართ, რითაც დიდი სიყვარული დაიმკვიდრა თბილისის ამ ძირძველი უბნის მაცხოვრებლების მხრიდან.

ბოლო წლებში თავისი გამოცდილება და ცოდნა მომავალი თაობის აღზრდას დაუთმო – ასწავლიდა ტექნიკურ უნივერსიტეტში აგროინჟინერიის ფაკულტეტზე. მისი სადოქტორო თემა სასურსათო უსაფრთხოების საკითხებზე, რომელიც სამწუხაროდ დაუცველი დარჩა ავადმყოფობის გამო, მეტად აქტუალური და საჭირბოროტო საკითხებზე იყო გათვლილი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ამ შესანიშნავი ადამიანის სული, კაცისა, რომელმაც მართლაც ნათელი კვალი დატოვა მშობლიურ თბილისში.

**მეგობრები**

**თენგიზ, ქეთევან ქავთარაძეები, ზაურ, ნელი ფხალაძეები სამძიმარს უცხადებენ ნათია და თენგიზ კუჭუხიძეებს დედისა და სიდედრის**

## ვალიდა ვლადიმერის ასულ მაღრაძე-გელოვანის

**გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**თემურ, კობა, ანიკო, მაკა კუჭუხიძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან**

## ვალიდა ვლადიმერის ასულ მაღრაძე-გელოვანის

**გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებს.**

# როდემდე გაგრძელდება უამინდობა ქვეყანაში



**მოსალოდნელი ამინდის შესახებ სინოპტიკოსი თამარ პაპაშვილი საუბრობს. მისი თქმით, 10 მარტამდე ცივი ამინდი შენარჩუნდება.**

თოვლიანი და ცივი დღეები მიმდინარე კვირაშიც გაგრძელდება – 28 თებერვლამდე. 27-ში დღის პირველი ნახევრიდან ყინვა შესუსტდება და 2 მარტის ჩათვლით, მთელი საქართველოს ტერიტორიაზე, უმეტესად, უნალექო ამინდი იქნება.

27 თებერვლამდე თბილისში კვლავ თოვლს ველით დროგამოშვებით, დროგამოშვებით ველით ქარის გაძლიერებასაც.

რაც შეეხება ბათუმსა და დასავლეთ საქართველოს, უმეტეს რაიონში მოსალოდნელია თოვლი!

## შუახნის კაცი სახლის სახურავის გადათოვლისას დაიღუპა

დიდთოვლობას მსხვერპლი მოჰყვა გურიაში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კონჭკათში გარდაცვლილია 60 წლამდე შუახნის მამაკაცი.

გავრცელებული ინფორმაციით, კაცი მეზობლის დასახმარებლად გადავიდა და სახლის სახურავის გადათოვლისას დაიღუპა.

ნგრევის შედეგად კაცს ბეტონის ფილა ე.წ. „სინკარი“ დაეცა.

აღნიშნული ინფორმაცია მედიას გურიის სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი ურუშაძემ დაუდასტურა, გურიის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მომხდარის გამო და უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახს.

მომხდარზე დეტალებს შესაბამისი ორგანოები შეისწავლიან.

დიდთოვლობის გამო შექმნილი სირთულეების მოგვარების მიზნით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მე-4 დღეა ოზურგეთის მერია და ყველა შესაბამისი სამსახური საგანგებო რეჟიმში მუშაობს.

## ჯაფარეულში 65 წლის ქალი გარდაიცვალა!

**როგორც ცნობილია ქალი სახლში 85 წლის დედას უვლიდა.**

დიდთოვლობის გამო, მეზობლები გარდაცვლილის საცხოვრებელ სახლში, სადაც ახლა უმწეო მოხუცი მიცვალებულთან მარტო იყო, მისვლას ვერ ახერხებდნენ.

65 წლის ქალბატონის გარდაცვალების მიზეზად დიაბეტი სახელდება. უგზოობის გამო სასწრაფო დახმარება ვერ მივიდა, ელექტროენერგიის არქონის გამო კი, სავარაუდოდ ტელეფონიც გაეთიშა და დახმარების გამოძახება ვერ შეძლო...

## რომის პაპი ისევ კრიტიკულ მდგომარეობაშია



**რომის პაპი ფრანცისკე კრიტიკულ მდგომარეობაშია ასთმური რესპირატორული კრიზისის გამო. მას სისხლის გადასხმა გაუკეთეს, მაგრამ პროგნოზი გაურკვეველია. ამის შესახებ Vatican News-ი იტყობინება.**

რომის პაპმა ფრანცისკემ გახანგრძლივებული ასთმური რესპირატორული კრიზისი განიცადა, რაც ასევე მოითხოვდა მაღალი დინების ჟანგბადის გამოყენებას. სისხლის ანალიზმა ასევე აჩვენა თრომბოციტოპენია, რომელიც დაკავშირებულია ანემიასთან და საჭიროებს სისხლის გადასხმას.

ვატიკანმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ 88 წლის პაპი ჯანმრთელადაა და დღე სავარძელში გაატარა, თუმცა თავს უარესად გრძნობს, ვიდრე წინა დღეს.

## 6 მათემატიკური რეკორდი ერთ დღეში

**„მენტალური არითმეტიკა“ გონებაში მათემატიკური გამოთვლების შესრულებას გულისხმობს. ამ მხრივ ნამდვილი მსოფლიო რეკორდსმენი 14 წლის არიან შულკაა – ინდოეთის**




**მაჰარაშტრას შტატში მცხოვრები ბიჭი, რომელსაც „ადამიან კალკულატორსაც“ უწოდებენ.**

ახლახან მან თავისი გამოთვლებით ერთ დღეში 6 რეკორდი დაამყარა, რაც გინესის მსოფლიო რეკორდების ვებგვერდზე უკვე აისახა.

შულკამ სხვადასხვა სახის გამოთვლა წარმოუდგენელი სისწრაფით შეასრულა. მან 100 ოთხნიშნა რიცხვი გონებაში 30.9 წამში შეკრიბა, 200 ოთხნიშნა რიცხვის შეკრება კი 1 წუთსა და 9.68 წამში შეძლო. ასევე, მოზარდმა 50 ხუთნიშნა რიცხვი 18.71 წამში შეკრიბა.

ბიჭმა გამრავლების კატეგორიაშიც შთამბეჭდავი შედეგები აჩვენა: ორი ხუთნიშნა რიცხვი 51.69 წამში გაამრავლა, ხოლო ორი რვანიშნა რიცხვი – 2 წუთსა და 35.41 წამში. ასევე, მან რეკორდი დაამყარა ოცნიშნა რიცხვების ათნიშნა რიცხვებზე გაყოფაში, რაც მხოლოდ 5 წუთსა და 42 წამში შეძლო. შულკამ ეს რთული გამოთვლები იმაზე მცირე დროში შეასრულა, ვიდრე ადამიანების უმეტესობა ამ რიცხვების კალკულატორში შეყვანას მოანდომებდა.

რეკორდები დუბაიში გინესის მსოფლიო რეკორდების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე დამყარდა. აღსანიშნავია, რომ ეს შულკას პირველი რეკორდი არ ყოფილა. ერთი წლის წინ მან 50 ხუთნიშნა რიცხვის შეკრების რეკორდი უკვე დაამყარა. თავისი გამორჩეული მათემატიკური უნარების საიდუმლოდ ის იოგას ასახელებს, რომელიც, მისი თქმით, სიმშვიდესა და კონცენტრაციაში ეხმარება. გარდა ამისა, შულკა მათემატიკურ სავარჯიშოებს ყოველდღიურად 5-6 საათს უთმობს, თუმცა, როგორც ჩვეულებრივი მოზარდი, თავისუფალ დროს კითხულობს და ვიდეოთამაშებს თამაშობს.

მიუხედავად მისი შთამბეჭდავი ნიჭისა, შულკას მამა ამბობს, რომ მათ ოჯახში განსაკუთრებული მათემატიკური უნარები არავის აქვს.

„არიანი უნიკალურია – მილიარდში ერთი რომ იბადება, ისეთი. ამის მიუხედავად, ჩვენ მენტალური არითმეტიკის ოსტატების ოჯახი არ ვართ“, – თქვა მან.

მათემატიკაში გამორჩეული ნიჭით მხოლოდ შულკა არ გახდა ცნობილი. 2022 წელს ამერიკელმა მოსწავლეებმა, ნიკია ჯექსონმა და კალცეა ჯონსონმა, ტრიგონომეტრიის გამოყენებით პითაგორას თეორემის ახალი დამტკიცება აღმოაჩინეს. მათი ნაშრომი 2024 წელს რეცენზირებად ჟურნალში **American Mathematical Monthly** გამოქვეყნდა და მანამდე უცნობი ცხრა დამატებითი ტრიგონომეტრიული დამტკიცება მოიცვა.

ეს მიღწევები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ახალგაზრდებს მეცნიერებაში მნიშვნელოვანი აღმოჩენების გაკეთება და მსოფლიო რეკორდების დამყარება შეუძლიათ.

## ძვირფასო მკითხველო!

„საქართველოს რესპუბლიკის“ წინა,24 თებერვლის 16-გვერდიანი ნომერი სტამბა „კოლორის“ თანამშრომელთა დასანანი უყურადღებობის გამო დაიბეჭდა მხოლოდ 12 გვერდზე და თქვენ მიიღეთ არასრულყოფილი გაზეთი!!!

ბოდიშს გიხდით ამ სერიოზული დანაკლისისთვის.

უმორჩილესად გთხოვთ, ჩვენო ერთგულო მკითხველო, პოლიგრაფიული (სტამბური) წუნის შემჩნევისას ოპერატიულად დაუკავშირდით სტამბა „კოლორს“ (ე. ბაღდავაძის ქ. #3), ტელ: (032)2500580 და ჩვენთან ერთად იზრუნეთ გაზეთის ბეჭდვის ხარისხის გასაუმჯობესებაზე.

კოლორ ჯგუფი

# შიოობა

## მიტევების შვიდეული

**საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 27 თებერვალს იხსენიებს წმიდა შიო მღვიმელს. ყველიერის ხუთშაბათის გარდა ის მოიხსენიება 22 მაისს.**

წმიდა შიო სიყრმიდანვე დაემოწაფა წმინდა იოანე ზედაზნელს. ღირსი მამა შიო სარკინეთის კლდეთა შორის მდებარე მღვიმეში მოღვაწეობდა. უდაბურ ადგილას მოღვაწე ბერი თვით ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა აკურთხა სასწაულებრივი გამოცხადებით.

თურმე ღირს მამას მტრედი უზიდავდა საზრდოს. ეს ნახა სარკინეთის მთაზე სანადიროდ მყოფმა ციხედიდის მთავარმა ევაგრემ, მოინახულა საკვირველი ბერი და დაემოწაფა მას. მალე იქაურობა მეუდაბნოების სურვილით შეპყრობილმა ხალხმა აავსო. წმინდა შიომ სარკინეთში დააარსა ტაძარი და 2000 ბერს მოუყარა თავი, რომელთაც ნამდვილ ასკეტურ ცხოვრებას ასწავლიდა. მრავალი სასწაულის აღსრულების შემდეგ წმიდა შიომ აღთქმა დადო, რომ დარჩენილ სიცოცხლეს მღვიმეში გაატარებდა. მღვიმე თავისსავე მონასტერში გათხარა და შიგ ჩავიდა...



წმიდა შიო დიდი მრავალ სასწაულს იქმოდა... ერთხელ მონასტერს, სადაც სახედრები ჰყავდათ, მგელი შემოეჩვია და ბევრი დაგლიჯა. როცა ეს ამბავი წმიდა შიომ გაიგო, ილოცა და უფლისგან ითხოვა, რომ მგელი სახედრების მწყემსად ქცეულიყო; ასეც მოხდა – ამის შემდეგ მგელი ერთგულად მწყემსავდა სახედრებს.

ღირსი შიოს წმიდა ნაწილები დღესაც სასწაულმოქმედია. ყველიერის ხუთშაბათს მღვიმეში დასვენებული წმინდა ძვლები სასწაულებრივად აღმოდიან საფლავიდან.

**გიული ლიპარტია**

# ყველაზე ძვირადღირებული ხილი მსოფლიოში

**მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ხილი რიგ შემთხვევაში ყოველთვიური ქირის ან ძვირად ღირებული ელექტრონული მოწყობილობების ფასს აჭარბებს!**

რეიტინგში უპირობო ლიდერი სამეფო ნესვი იუბარია. 2023 წელს წყვილი სამეფო ნესვი იუბარი 25 ათას დოლარად გაიყიდა, ბოლო აუქციონზე კი მისი ფასი 45 ათას დოლარსაც კი აჭარბებდა.

სიაში მეორე ადგილს ლალისებრი რომაული ყურძენი იკავებს, რომლის მტევანშიც თითო მარცვალი მინიმუმ 20 გრამს იწონის. მტევნის ფასმა დაახლოებით 8 400 აშშ დოლარიც კი შეადგინა.

საზამთრო **Densuke** რეიტინგში მესამე ადგილზეა. საზამთრო მოდის მხოლოდ ჰოკაიდოში, ისიც შეზღუდული რაოდენობით, რაც მის მაღალ ფასს განაპირობებს. საზამთრო **Densuke**-ს მაქსიმალური ფასი 6 000 დოლარსაც კი აღწევს.

# ტიტანიკის ისტორიული ჭაღი მუზეუმშია

**ტიტანიკის ისტორიული ჭაღი, რომელიც 1912 წელს ტრაგიკული ჩაძირვის დროს განადგურდა, ახლა უკვე ნიუ-ჯერსის ლიბერტი საიენს ცენტრშია გამოფენილი.**

ათწლეულების განმავლობაში ატლანტის ოკეანის ფსკერზე გამავალი, ეს 20-ფუნტიანი ჭაღი ახლა **„ტიტანიკი: არტეფაქტების გამოფენაში“** ერთ-ერთი მნიშვნელოვან ექსპონატს წარმოადგენს.



გამოფენაზე წარმოდგენილია 250-ზე მეტი არტეფაქტი, რომლებიც ვიზიტორებს საშუალებას აძლევს შეიგრძნონ ტიტანიკის მემკვიდრეობა. ეს გამოფენა მსოფლიოს მასშტაბით უკვე 35 მილიონზე მეტმა ადამიანმა დაათვალიერა.

გამოფენის ბილეთები მუზეუმში შესვლის გარდა დამატებით 8 დოლარი ღირს.

# 21 ქრისტიანი კოპტის ისტორიას ფილმად გადაიღებენ



**დოკუმენტური ფილმი „21“ ასახავს 2015 წელს ეგვიპტეში ისლამური სახელმწიფოს მიერ მოკლული 21 ქრისტიანი კოპტის ისტორიას.**

ფილმი ხაზს უსვამს მათი რწმენის სიმტკიცეს და მოწამეობის სიკვდილს, რაც ქრისტიანული რწმენის სიღრმეებს საოცარი სიმძაფრით წარმოაჩენს.

ფილმის რეჟისორი მარტინ მაკდონაჰი, აცხადებს, რომ „21“-ის მიზანია მაყურებელს გააცნოს ამ მამაცი ადამიანების ისტორია და მათი რწმენის ძალა.

ფილმში ნაჩვენებია ინტერვიუები მათი ოჯახის წევრებთან და ექსპერტებთან, რომლებიც განიხილავენ ამ ტრაგედიის გავლენას ადგილობრივ და გლობალურ ქრისტიანულ საზოგადოებაზე.

„21“ არა მხოლოდ ტრაგიკულ მოვლენებს ასახავს, არამედ გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება რწმენამ ძალა და სიღრმე შესძინოს ადამიანებს უკიდურეს სირთულეებში.

# რა იმალება პიკასოს ნახატში...

## ქალის იდუმალი პორტრეტი, რომელიც აქამდე არ უნახავთ!

**მაღალტექნოლოგიური გამოსახულების ინსტრუმენტებმა გამოავლინა კიდევ ერთი პორტრეტი, რომელიც პიკასოს ნახატში იმალება. მასზე გამოსახულია ქალი, სადაც ნათლად ჩანს მისი თავისა და სხეულის მონახაზი, წერს Forbes-ი. მოქანდაკის მეგობრის პორტრეტი თითქმის 125 წლის წინ არის შესრულებული.**

**რა არის ცნობილი ნახატის შესახებ?!**

ნახატი სახელწოდებით „მატეუ ფერნანდეს დე სოტოს პორტრეტი“ (**Portrait of Mateu Fernández de Soto**) თარიღდება 1901 წლით, პიკასოს ცნობილი ცისფერი პერიოდის დასაწყისით, რომელიც გარდამტეხი იყო მის შემოქმედებაში.

„ნახატის შემდგომმა ანალიზმა შეიძლება უფრო მეტი გამოავლინოს ქალის შესახებ ფარულ პორტრეტში, მაგრამ ჩვენ ვერასოდეს გავიგებთ, ვინ იყო ის“, – ნათქვამია სტატიაში.

მეცნიერებმა შეძლეს ქალის პორტრეტის აღმოჩენა მოწინავე ინფრაწითელი და რენტგენის გამოსახულების ტექნოლოგიის გამოყენებით. ამან შესაძლებელი გახადა ნათლად დაენახათ მისი თითები და მოხრილი მხრები, ისევე როგორც მისი თმა, რომელიც შეკრული იყო შინიონში (მე-20 საუკუნის დასაწყისში პარიზში მოდური ვარცხნილობა).



„ის შეიძლებოდა ყოფილიყო მოდელი, მეგობარი ან თუნდაც შეყვარებული, რომელიც პოზირებდა პიკასოს ერთ-ერთ ფერად იმპრესიონისტულ სურათში პარიზული ღამის ცხოვრების შესახებ, ან მელანქოლიური ქალი, რომელიც ზის ბარში“, – ნათქვამია ლონდონის ხელოვნების ისტორიისა და კონსერვაციის სპეციალიზებული კოლეჯის განცხადებაში.

**როგორც Forbes-ი წერს, ამ პერიოდის განმავლობაში პიკასო ფერადი ნახატებიდან მუქ სტილზე გადავიდა. იმ დროს მხატვარმა აღნიშნა, რომ მისი მეგობრის თვითმკვლელობამ აიძულა იგი, გადასულიყო უფრო მუქ პალიტრაზე.**

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებლები
**გიორგი მახარაშვილი,**
**არჩილ სიხარულიძე.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში“**
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
**GE90BG0000000538329790**

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 28 თებერვალს**